

## დანართი: ფაქტობრივი გარემოებები

წინამდებარე დანართი მოიცავს 2015-2018 წლებში სახალხო დამცველის წარმოებაში არსებულ საქმეებს, რომლებიც დაყოფილია 5 კატეგორიად:

- I. იეჰოვას მოწმეების მიმართ წლებში ჩადენილი სავარაუდო დანაშაულები - 14 საქმე
- II. ლგბტ+ თემის წარმომადგენელთა მიმართ ჩადენილი სავარაუდო დანაშაულები - 6 საქმე
- III. ეთნიკური უმცირესობების მიმართ ჩადენილი სავარაუდო დანაშაულები - 6 საქმე
- IV. რასობრივი მოტივით ჩადენილი სავარაუდო დანაშაულები - 1 საქმე
- V. სამართალდამცავთა მიერ სიძულვილის მოტივით მიყენებული სავარაუდო ფიზიკური/სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტები -28 საქმე

### I. იეჰოვას მოწმეების მიმართ 2015-2018 წლებში ჩადენილი სავარაუდო დანაშაულები

#### 1. საქმე N2486/15, 02.03.2015, მ. ჩ-ს განცხადება

2015 წლის 2 მარტს სახალხო დამცველს განცხადებით მომართა ამხანაგობა „კანონიერება და სამართალი კავკასიაში“-ს ადვოკატმა, მ. ც-მ. განცხადების თანახმად, ლ. და გ. შ-ები არიან რელიგიური ორგანიზაცია „იეჰოვას მოწმეთა“ მიმდევრები, რომლებიც ცხოვრობენ ასპინძაში. განმცხადებელი განმარტავს, რომ შ-ების ოჯახის მეზობლად მცხოვრები ზ. ზ.-ნ-სგან განიცდის სისტემატურ შეურაცხყოფას, ლანძღვას, მუქარას, ცილისწამებას მათი რელიგიური კუთვნილების გამო. 2015 წლის 14 თებერვალს ზ. ზ.-ნ-მ ლ. შ.ს, გელა შველიძეს და მასთან სტუმრად მყოფ მ. ზ.-ს მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა. განმცხადებელი განმარტავს, რომ იგივე ფაქტს ადგილი ჰქონდა 2015 წლის 28 იანვარსაც. განმცხადებელი ასევე ინტერესდება იეჰოვას მოწმეთა მიმართ ჩადენილი სავარაუდო დანაშაულების გამოძიების ზოგადი ტენდენციით.

2015 წლის 11 აგვისტოს საქართველოს მთავარი პროკურატურიდან მიღებული პასუხის თანახმად, ასპინძის სამმართველოში დაიწყო გამოძიება გ. და ლ. შ-ს მიმართ ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების ფაქტზე სსკ 125-ე მუხლით გათვალისწინებული ნიშნებით. საქმეზე ჩატარდა საგამოძიებო მოქმედებები, რომლის საფუძველზეც მოპოვებული მტკიცებულებებით არ დადასტურდა ზ. ნ.-ზ-ს მიერ ლ. და გ. შ-ის ცემის ან სხვაგვარი ძალადობის ჩადენის ფაქტი. საქმეზე გამოძიება შეწყდა.

#### 2. საქმე N9385/15, 14.08.2015, მ. ქ-ს განცხადება

2015 წლის 14 აგვისტოს, სახალხო დამცველს განცხადებით მომართა მ. ქ-მ, რომლის განმარტებით, 2015 წლის 10 აგვისტოს, ქ. თბილისში, რუსთაველის N24-ის მიმდებარე ტერიტორიაზე მ. ლ. და ლ. ზ. რელიგიურ მსახურებას ეწეოდნენ და იყენებდნენ სპეციალურ სტენდს, რომელიც უცნობმა მამაკაცმა დაამტვრია ფეხით და მათ მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა. მ. ლ. და ლ. ზ. დაკითხვისთვის გადაიყვანეს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში, სადაც გამომძიებელი დასაკითხ პირებს მიზანმიმართულად აიძულებდა, ფაქტის აღწერისას რელიგიური სიმულვილის ნაცვლად, დაეფიქსირებინათ პირადი შეურაცხყოფის მოტივი.

2016 წლის 9 ივნისს, პროკურატურიდან მოწოდებული ინფორმაციით, განცხადებაში აღწერილ ფაქტზე დაიწყო გამოძიება სსკ 187-ე მუხლით, თუმცა სისხლის სამართლის ნიშნების არ არსებობის გამო, შეწყდა გამოძიება სსსკ 150-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ პუნქტით. სამართალდამცავთა მიერ გამოვლენილი პირი ცნობილ იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენად (ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლები) და შეეფარდა 3 დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა.

### **3. საქმე N7319/16, 09.06.2016, გ. და ლ. კ-ის წარმომადგენლის, მ. ქ-ს განცხადება**

2016 წლის 9 ივნისს, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს განცხადებით მომართა გ. და ლ. კ-ის ადვოკატმა, მ. ქ-მა. განცხადების თანახმად, ქარელის რაიონში, მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირები რელიგიური სიმულვილით მოტივირებული დანაშაულის მსხვერპლნი გახდნენ. განმცხადებლის მითითებით, 2016 წლის 29 აპრილს ავტომანქანით მიმავალი ბ. ბ. დიდი სისწრაფით შეეჯახა მოტოციკლით მოძრავ ლ. და გ. კ-ს, რომლებიც არიან იეპოვას მოწმეები. ბ. ბ. მანამდე აფიქსირებდა უარყოფით დამოკიდებულებას იეპოვას მოწმეების მიმართ. განცხადებაში ასევე დასახელებულია სხვა ფაქტები, კერძოდ, 2015 წელს (8 მაისის და 28 მაისის ეპიზოდები) ადგილობრივი სასულიერო პირის, ნ. ო-ს მიერ იეპოვას მოწმეების წინააღმდეგ ჩადენილი არამართლზომიერი ქმედებები.

2018 წლის 14 თებერვლის წერილით, სახალხო დამცველს პროკურატურიდან ეცნობა, რომ 2015 წლის 8 და 28 მაისის ფაქტებთან დაკავშირებით, სისხლის სამართლის N027290416001 საქმეზე, ჩატარდა არაერთი საგამომძიებო მოქმედება: დაიკითხნენ მოწმეები, მათ შორის, ლ. და გ. კ-ები; დაინიშნა სასამართლო, სამედიცინო, ქიმიური, ავტოტექნიკური და ავტოტრასოლოგიური ექსპერტოზები. აგრეთვე, ავტომობილის მძღოლის ბ. ბ-ს ქმედებაში სიმულვილის მოტივის გამოკვეთის მიზნით, დაიკითხნენ მოწმეები, თუმცა აღნიშნული მოტივი არ დადასტურდა. აღნიშნულ საქმეზე დაზარალებულად იქნენ ცნობილნი ლ. და გ. კ-ები. ბ. ბ-ს ბრალი წარედგინა სსკ 276-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილებით. ხაშურის რაიონული სასამართლოს განაჩენით, ბ. ბ. ცნობილ იქნა დამნაშავედ.

#### **4. საქმე N9126/16, 13.07.2016, მ. ქ-ს განცხადება**

2016 წლის 13 ივლისს, სახალხო დამცველს განცხადებით მომართა მ. ქ-მა, რომლის განმარტებით, მოქალაქე ზ. ც. (მეტსახელად ზ.) აქტიურად ეწევა იეპოვას მოწმეების დისკრედიტაციას. აღნიშნული პიროვნება აკეთებს იეპოვას მოწმეებთან საუბრის ფარულ ჩანაწერებს, რომელიც შემდგომ თავსდება ვებ-გვერდზე [www.youtube.com](http://www.youtube.com), მათ შორის არის იეპოვას მოწმეებთან საუბრის ფარული ჩანაწერები. განმცხადებელი აღნიშნავს, რომ ზ. ც. და მისი თანამოაზრეები ყოველ კვირას იკრიბებიან იეპოვას მოწმეების საკონგრესო დარბაზის შესასვლელთან დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი პლაკატებით ხელში, აფერხებენ მანქანების შესვლას დარბაზის ეზოში და ახორციელებენ სხვადასხვა სახის პროვოკაციებს სიტუაციის დამაბვის მიზნით. პროკურატურის 2018 წლის 14 თებერვლის წერილის თანახმად, საქმეზე გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 158-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. ჩატარდა რიგი საგამოძიებო მოქმედებები: გამოიკითხნენ იეპოვას მოწმეები და ზ. ც. დათვალიერდა ვებ-გვერდი youtube.com-ზე ატვირთული ჩანაწერები. ამ ეტაპზე გამოძიება გრძელდება.

#### **5. საქმე N10922/16, 25.08.2016, მ. ქ-ს განცხადება**

2016 წლის 25 აგვისტოს, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს განცხადებით მომართა მ. ქ-მა, რომლის განმარტებით, ქ. ხონში იეპოვას მოწმეების „სამეფო დარბაზის“ დაზიანების არაერთი შემთხვევა ფიქსირდება და ზიანი საერთო ჯამში საკმაოდ დიდ თანხას შეადგენს. განმცხადებლის განმარტებით, მსგავსი შემთხვევები, ძირითადად, კვალიფიცირდება სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლით (ნივთის დაზიანება ან განადგურება) და გამოძიება წყდება დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო, რადგან ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მიყენებული ზიანი არ აღწევს 150 ლარს. პროკურატურის მიერ 2017 წლის 4 მაისს მოწოდებული ინფორმაციით, გამოძიება შეწყდა სს დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო.

#### **6. საქმე N12409/16, 27.09.2016, მ. ქ-ს განცხადება**

2016 წლის 26 სექტემბერს საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით მომართა ადვოკატმა მ. ქ-მა. განცხადების თანახმად, ხაშურის რაიონის სამხედრო განყოფილებაში მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირები რელიგიური სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მსხვერპლნი გახდნენ.

საქართველოს მთავარი პროკურატურის 2018 წლის 14 თებერვლის წერილის თანახმად, 2016 წლის 7 ოქტომბერს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის N082071016001 საქმეზე რელიგიური

ნიშნით დევნის ფაქტზე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. საქმეზე ბრალდებულად ან დაზარალებულად კონკრეტული პირი ცნობილი არ არის.

#### **7. საქმე N14504/16, 11.11.2016, მ. ქ-ს განცხადება**

2016 წლის 11 ნოემბერს, სახალხო დამცველს განცხადებით მომართა მ. ქ-მა, რომლის განმარტებით, 2016 წლის 6 ნოემბერს ქ. თბილისში, მუხიანის რაიონში, რელიგიური მსახურების დროს, იეპოვას მოწმეებს ნ. ჯ-სა და ო. ხ-ს გაუნადგურეს რელიგიური ლიტერატურა. ადგილზე გამოძახებულ იქნა საპატრულო პოლიციის ეკიპაჟი და ქმედების აგრესიული ჩამდენი პირები გადაყვანილ იქნენ პოლიციის განყოფილებაში, სადაც მოკვლევა ჩატარდა არაობიექტურად.

პროკურატურის, 2016 წლის 24 ნოემბრის წერილით სახალხო დამცველს ეცნობა, რომ საქმესთან დაკავშირებით გამოიკითხა შემთხვევის ადგილზე მყოფი პირები, მათ შორის, სავარაუდო თავდამსხმელი, გ. ი-ე, რომელმაც განმარტა, რომ 2016 წლის 6 ნოემბერს, ქ. თბილისში, მუხიანში, მივიდა იეპოვას მოწმეებთან, რომლებიც ავრცელებდნენ რელიგიურ ლიტერატურას. იქ დახვდა სხვა პიროვნება, რომელიც ამ უკანასკნელთ ესაუბრებოდა რელიგიაზე. გ. ი-ეც ჩაერთო საუბარში, თუმცა დეტალებს ვერ იხსენებს. ბუნდოვნად ახსოვს, რომ სტენდიდან აიღო ბუკლეტები და გამვლელებს მისცა. მისი განმარტებით, იგი პატივს სცემს ყველა რელიგიის წარმომადგენლებს და მათი საქმიანობისთვის ხელშემშლის მიზანი არ ჰქონია. აქედან გამომდინარე, აღნიშნულ ფაქტზე გამოძიება არ დაწყებულა.

#### **8. საქმე N15136/16, 28.11.2016, მ. ქ-ს განცხადება**

2016 წლის 10 ნოემბერს მარტვილის რაიონის სოფელ დიდ ჭყონში მცხოვრებ ზ. მ-ს მეზობელმა ჟ. ქ-მ, მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა, რაც განპირობებული იყო ზ. მ-ს რელიგიური მრწამსით. კერძოდ, იგი არის იეპოვას მოწმე და მის სახლში ხშირად იმართება რელიგიური დანიშნულების შეკრებები. 2018 წლის 14 თებერვალს პროკურატურის მიერ მოწოდებული ბოლო ინფორმაციით, ჟ. ქ-სა და ზ. მ-ს ჩაუტარდათ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზები. ამასთან, ორივე მათგანი გამოიკითხა მოწმის სახით. სიძულვილის მოტივით დანაშაულის ჩადენის ფაქტი არ გამოიკვეთა. ამ ეტაპზე, დაზარალებულად/ბრალდებულად არ არის ვინმე ცნობილი და გამოძიება გრძელდება.

#### **9. საქმე N15352/16, 05.12.2016, მ. ქ-ს განცხადება**

სახალხო დამცველს განცხადებით მომართა მ. ქ-მ, რომლის განმარტებით, ბ. თ-ს მიერ სისტემატურად ხდება იეპოვას მოწმეების შევიწროება, რაც გამოიხატება რელიგიურ სტენდებზე ბენზინის შესხმასა და ცეცხლის წაკიდებაში. განმცხადებელმა აღნიშნა, რომ 2016 წლის 11 ნოემბერს, ბ. თ-ს მიერ იეპოვას მოწმეებზე განხორციელებული თავდასხმის ფაქტზე,

პროკურატურამ მას ბრალი წაუყენა სსკ 156-ე მუხლით და სასამართლო პროცესზე მოითხოვა აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდება. ამის მიუხედავად, სასამართლომ გაათავისუფლა იგი და გირაოს სახით 3000 ლარის გადახდა შეუფარდა. აღნიშნული ფაქტის შემდეგ, 2016 წლის 18 ნოემბერს, ბ. თ. კვლავ მივიდა იეჰოვას მოწმე ც. ჭ-სთან და რ. მ-სთან, როდესაც ეს უკანასკნელნი რელიგიურ ღვთისმსახურებას ეწეოდნენ ქ. თბილისში, რუსთაველის მეტროს მიმდებარე ტერიტორიაზე, ხელის კვრით გადაუყირავა სტენდი, მიმოუფანტა რელიგიური ლიტერატურა და დაემუქრა, რომ *ნახვდნენ რაც მოუვიდოდათ სასამართლო პროცესის მერე.*

2018 წლის 14 თებერვლის წერილით, პროკურატურამ განმარტა, რომ ჩატარებული საგამომიებო მოქმედებების შედეგად, აღნიშნულ საქმეზე დაზარებულად ცნობილ იქნენ რ. მ. და ც. ჭ., ხოლო ბ. თ-ს ბრალი წარედგინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლის პირველი ნაწილით და 2017 წლის 9 იანვარს საქმე არსებითი განხილვისათვის გადაიგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოში, რომლის მიერ ეს უკანასკნელი ცნობილ იქნა დამნაშავედ.

#### **10. საქმე N3385/18; N27/02/2018; იეჰოვას მოწმეების თაობაზე მ. ქ-ს განცხადება**

2018 წლის 27 თებერვალს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს განცხადებით მომართა თ. პ-სა და მ. ქ-ს წარმომადგენელმა მ. ქ-მა.

განმცხადებლის განმარტებით, თ. პ-სა და ე. კ-ს მიმართ მეზობელი თ. დ-ს მხრიდან რელიგიურ ნიადაგზე შევიწროების ფაქტზე, განცხადებით მიმართეს ქუთაისის რაიონულ პროკურატურას, რომელმაც N 13/29-81602 წერილით განმარტა, რომ განცხადება გადაიგზავნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქუთაისის საქალაქო სამმართველოს პირველ განყოფილებაში.

განცხადებაში ასევე აღნიშნული იყო, რომ მათ განცხადებას არანაირი რეაგირება არ მოჰყოლია, რამაც თ. დ-ს კანონსაწინააღმდეგო ქმედებები წაახალისა. 2018 წლის 2 თებერვალს, თ. პ-მ სადარბაზოსთან შენიშნა პოლიციის თანამშრომლები, რომლებმაც განუმარტეს, რომ რკინის კონსტრუქციების სავარაუდო ქურდობის ფაქტზე იყვნენ გამოძახებულნი. თ. პ-მ მათ განუმარტა, რომ 2018 წლის 31 იანვარს არასრულწლოვან შვილიშვილთან ერთად გამოდიოდა ეზოდან, რა დროსაც ამ უკანასკნელმა ფეხი წამოკრა რკინის ნივთებს და ფეხი დაიზიანა. მან კი ზემოხსენებული ნივთები გადაალაგა საერთო მფლობელობის სათავსოში. ამ საუბრის მიმდინარეობისას, თ. დ-მ შემდეგი სიტყვებით მიმართა მათ: ქურდო იეღოველებო, მათხოვარო იეღოველებო, წადით, გადაშენდით აქედან იქ სადაც დაეთრევით. პოლიციის თანამშრომლებმა დააზუსტეს, ნამდვილად მიეკუთვნებოდა თუ არა იეჰოვას მოწმეთა ორგანიზაციას და დადებითი პასუხის მიღების შემდეგ, პოლიციის განყოფილებაში მას ექცეოდნენ აგდებულად. ამასთან, ერთ-ერთმა პოლიციელმა თ. პ-ს მიმართა: ნეტა უფლება მომცა და ეგ ადგილი სულ ამაფეთქებინაო.

2018 წლის 18 აპრილის წერილით, საქართველოს მთავარმა პროკურატურამ განმარტა, რომ თ. კ-სა და მ. ქ-ს ინტერესების დამცველი ადვოკატის მ. ქ-ს განცხადების საფუძველზე, დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურის საგამომიებო ნაწილში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის N088120418801 საქმეზე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქუთაისის საქალაქო სამმართველოს პოლიციის პირველი განყოფილების თანამშრომლების მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

**11. საქმე N5988/18; N16/04/2018; იეჰოვას მოწმეების თაობაზე ამხანაგობა „კანონიერება და სამართალი კავკასიაში“-ს განცხადება.**

2018 წლის 16 აპრილს სახალხო დამცველს განცხადებით მომართა ამხანაგობამ „კანონიერება და სამართალი კავკასიაში“, რომელიც აღნიშნავდა, რომ იეჰოვას მოწმეების მიმართ განხორციელდა დევნა რელიგიური მოტივით.

განმცხადებელი განმარტავდა, რომ 2018 წლის 31 მარტს, ქ. ბოლნისში, სულხან-საბა ორბელიანის ქ. N51-ში არსებულ იეჰოვას მოწმეთა დარბაზის მიმდებარე ტერიტორიაზე იეჰოვას მოწმეები აღნიშნავდნენ ერთ-ერთი მნიშვნელოვან რელიგიურ დღესასწაულს. ღონისძიების დაწყებამდე, ზ. ც-მ დარბაზის შესასვლელთან და მიმდებარე ტერიტორიაზე გამოაკრა შეურაცხმყოფელი აბრები, რომლითაც ღონისძიებაზე დამსწრე ხალხს ემუქრებოდა და მოუწოდებდა არ მიეღოთ მონაწილეობა დღესასწაულის აღნიშვნაში და ახორციელებდა მათ უნებართვო ვიდეოგადაღებას. იეჰოვას ერთ-ერთმა მოწმემ ჩამოხსნა შეურაცხმყოფელი პლაკატები, რის გამოც ზ. ც-მ გამოიძახა საპატრულო პოლიცია და იეჰოვას მოწმეებს დასჯითა და დარბაზის დახურვით ემუქრებოდა.

განცხადებაში ასევე აღნიშნული იყო, რომ ზემოხსენებული შემთხვევის შემდეგ, 2018 წლის 5 აპრილს, ზ. ც-მ იმავე ადგილას განმეორებით გამოაკრა რელიგიური შინაარსის შეურაცხმყოფელი პლაკატები და იეჰოვას მოწმეებს არ აძლევდა რელიგიური ღვთისმსახურების განხორციელების საშუალებას. აღნიშნულ ფაქტზე გამოძახებულ იქნა საპატრულო პოლიცია, თუმცა, ფაქტს დღემდე არ მოჰყოლია რეაგირება.

2018 წლის 1 მაისის წერილით, საქართველოს მთავარმა პროკურატურამ განმარტა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ბოლნისის რაიონულ სამმართველოში მიმდინარეობს გამოძიება სისხლის სამართლის N019160418001 საქმეზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 155-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. საქმეზე სიძულვილის მოტივის დადგენის მიზნით გამოიკითხნენ მოწმეები. ბრალდებულად ან დაზარალებულად კონკრეტული პირი ცნობილი არ არის. გამოძიება გრძელდება.

## **12. საქმე N6150/18; N18/04/2018 იეჰოვას მოწმეების თაობაზე „კანონიერება და სამართალი კავკასიაში“-ს განცხადება.**

2018 წლის 18 აპრილს სახალხო დამცველს განცხადებით მომართა ამხანაგობამ „კანონიერება და სამართალი კავკასიაში“, რომელიც აღნიშნავდა, რომ იეჰოვას მოწმეების მიმართ განხორციელდა დევნა რელიგიური მოტივით.

განმცხადებლის განმარტებით, 2018 წლის 31 მარტს, ქ. თბილისში, ზაქარიაძის ქ. N7-ში მდებარე საცხოვრებელ კორპუსში, იეჰოვას მოწმეები ეე. კ. და ნ. ქ. ეწეოდნენ რელიგიურ მსახურებას. დაახლოებით 15:45-ზე მათ მიაკაკუნეს N6- ბინის კარზე და ვინაიდან არავინ უპასუხა, მოსაწვევი დატოვეს კარებთან, რა დროსაც ბინიდან გამოვიდა დაახლოებით 50-55 წლის მამაკაცი, რომელმაც მათ მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, მოსაწვევი დახია, სახეში მიაყარა მ. ქ-ს და სახის არეში მიაყენა ძლიერი დარტყმა. ამის შემდეგ, მამაკაცმა კიბიდან დააგორა ნ. ქ. მამაკაცი მათ აგინებდა, აფურთხებდა და აყენებდა რელიგიური ხასიათის შეურაცხყოფას. ე. კ-მ და ლ. ქ-მ დატოვეს ტერიტორია და გამოიძახეს საპატრულო პოლიცია, თუმცა, პოლიციას ზემოაღნიშნულ ბინაში კარი არავინ გაუღო. განცხადებაში ასევე აღნიშულია, რომ ნ. ქ-ს მიყენებულმა დაზიანებებმა გამოიწვია ჯანმრთელობის მოშლა, რის გამოც იგი მოკლებულია რელიგიური მსახურების განხორციელების შესაძლებლობას.

2018 წლის 4 მაისის წერილით, საქართველოს მთავარმა პროკურატურამ განმარტა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამმართველოს მე-7 განყოფილებაში მიმდინარეობს გამოძიება სისხლის სამართლის N007310318003 საქმეზე, ნ. ქ-ს დევნის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. აღნიშნულ საქმეზე, მათ შორის სიძულვილის მოტივის გამოკვეთის მიზნით, ჩატარდა რიგი საგამომიებო მოქმედებები: გამოიკითხნენ მოწმეები, ჩატარდა საგამომიებო ექსპერიმენტი, დაინიშნა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა, რომლის დასკვნა ამ ეტაპზე მიღებული არ არის. კონკრეტული პირი ბრალდებულად ან დაზარალებულად ცნობილი არ არის. გამოძიება გრძელდება

## **13. საქმე N7329/18; 08/05/2018, „ამხანაგობა კანონიერება და სამართალი“-ს განცხადება**

2018 წლის 8 მაისს საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით მომართა ამხანაგობა „კანონიერება და სამართალი კავკასიაში“-ს ადვოკატმა მ. ქ-მა, რომელიც იეჰოვას მოწმეების ნ. ლ-სა და ლ. გ-ის სავარაუდო უფლებების დარღვევას შეეხება.

განცხადების მიხედვით, 2017 წლის 21 იანვარს, თბილისში, გლდანის მე-4 მ/რ-ში, ნ. ლ. და ლ. გ. ეწეოდნენ რელიგიურ მსახურებას. მსახურების დროს მათ ქ. ლ-მა მიაყენა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა.

როგორც განმცხადებელი განმარტავს, მათ მიერ გამოთხოვილ ინფორმაციაზე, საქართველოს მთავარი პროკურატურიდან 2018 წლის 23 მარტის N13/21515 წერილით ეცნობათ, რომ სისხლის სამართლის N008210117007 საქმეზე გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, თუმცა, 2017 წლის 2 მაისს საქმეზე გამოძიება შეწყდა სისხლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე. ამ ეტაპზე სახალხო დამცველს საქართველოს პროკურატურიდან პასუხი არ მიუღია.

**14. საქმე N7167/18; 10/05/2018, „პენსილვანიის საგუშაგო კომპის, ბიბლიისა და ტრაქტატების საზოგადოების ფილიალის საქართველოში“; ჭიათურაში რელიგიურ ღვთისმსახურებაში ხელშეშლა**

2018 წლის 10 მაისს, სახალხო დამცველს განცხადებით მომართა „პენსილვანიის საგუშაგო კომპის, ბიბლიისა და ტრაქტატების საზოგადოების ფილიალის საქართველოში“ წარმომადგენელმა ჯ. შ-მ, რომელიც შეეხება ჭიათურაში, იეჰოვას მოწმეთათვის რელიგიურ შეკრებებში მონაწილეობაში სავარაუდო ხელშეშლას.

განცხადების მიხედვით, ჭიათურაში, ჩაჩანიძის N81-ში მდებარეობს იეჰოვას მოწმეთა სამეფო დარბაზი, რომელსაც 2 შესასვლელი აქვს. ერთ-ერთი შესასვლელი ესაზღვრება წმინდა გერმანეს ქუჩას, ხოლო მეორე ამავე ქუჩაზე მდებარეობს. როგორც განმცხადებელი განმარტავს, ნოდარ ჩაჩანიძის ქუჩის მხრიდან შესვლა მოუხერხებელია ხანდაზმულებისათვის. ამდენად, იეჰოვას მოწმეები წლების მანძილზე სარგებლობდნენ წმინდა გერმანეს ქუჩიდან არსებული

შესასვლელით. წმინდა გერმანეს ქუჩა N3-ში მდებარე კორპუსის მაცხოვრებლები - თ. ტ. მ. ტ. მ. ხ. და ნ. ბ. უარყოფით დამოკიდებულებას ავლენენ იეჰოვას მოწმეთა მხრიდან წმინდა გერმანეს ქუჩით სარგებლობის გამო. დასახელებული პირები სამეფო დარბაზში მიმავალ იეჰოვას მოწმეებს აყენებენ შეურაცხყოფას. ამასთან რელიგიურ შეკრებაზე მისულ ადამიანებს არ აძლევენ შესაძლებლობას ისარგებლონ პარკინგით. როგორც განმცხადებელი განმარტავს, ის ტერიტორია, რომლითაც იეჰოვას მოწმეები გადაადგილდებიან არის საერთო სარგებლობის გზა და მისით სარგებლობა ყველას შეუძლია.

2018 წლის 28 ივნისის წერილით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ განმარტა, რომ 2015 წლის 25 ივლისს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ჭიათურის რაიონულ სამმართველოში 2018 წლის 11 მაისს მიღებულ იქნა იეჰოვას მოწმეთა წარმომადგენლის ჯ. შ-ს განცხადება, რომლის საფუძველზეც ჭიათურის რაიონულ სამმართველოში 2018 წლის 24 მაისს დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის N047240518001 საქმეზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლის პირველი ნაწილით. აღნიშნულ საქმეზე შედგენილ იქნა გასაუბრებისა და გამოკითხვის ოქმები, კერძოდ:



2018 წლის 15 მაისს შ.მ-თან შედგა გასაუბრება, ხოლო 2018 წლის 12 ივნისს გამოკითხულ იქნა მოწმის სახით. 2018 წლის 13 მაისს მ.ტ-თან შედგა გასაუბრება, ხოლო 2018 წლის 25 მაისს გამოკითხულ იქნა მოწმის სახით. 2018 წლის 13 მაისს თ.ტ-თან შედგა გასაუბრება, ხოლო 2018 წლის 08 ივნისს გამოკითხა მოწმის სახით. 2018 წლის 24 მაისს ლ.ტ-თან შედგა გასაუბრება, ხოლო 2018 წლის 6 ივნისს გამოკითხა მოწმის სახით. 2018 წლის 22 მაისს გ.ბ-თან შედგენილ იქნა გასაუბრების ოქმი, ხოლო 2018 წლის 8 ივნისს გამოკითხა მოწმის სახით. 2018 წლის 13 მაისს მ.ხ-თან შედგა გასაუბრება, ხოლო 2018 წლის 21 ივნისს გამოკითხა მოწმის სახით. 2018 წლის 13 ივნისს გამოკითხულ იქნა ნ.შ., 2018 წლის 25 მაისს დათვალიერებულ იქნა შემთხვევის ადგილი.

2018 წლის 19 ივნისის წერილით, ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიამ განმარტა, რომ ა2018 წლის 10 მაისს მათ №18/18 განცხადებით მომართა პენსილვანიის (ა.შ.შ) საგუშაგო კოშკის, ბიბლიისა და ტრაქტატების საზოგადოების ფილიალის წარმომადგენელმა ჯ. შ-მ, რომლითაც ითხოვს, რომ იეპოვას მოწმეების მიმართ დისკრიმინაციის ფაქტზე მიღებული იქნეს დისციპლინარული პასუხისმგებლობის ზომები ლ. ტ-ს მიმართ დისციპლინარული გადაცდომისათვის. ვინაიდან ლ. ტ. არ არის ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოსამსახურე იგი დასაქმებული არის ააიპ ჭიათურის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სერვის ცენტრში, ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ პენსილვანიის (ა.შ.შ) საგუშაგო კოშკის განცხადება გადაგზავნილი იქნა ა.(ა).ი.პ „ჭიათურის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სერვის ცენტრში“ შემდგომი რეაგირებისათვის, თუმცა, ამ ეტაპზე სახალხო დამცველისთვის ინფორმაცია მოუწოდებიათ, თუ რა რეაგირება მოახდინა ამ უკანასკნელმა.

## **II. ლგბტ+ თემის წარმომადგენელთა მიმართ ჩადენილი სავარაუდო დანაშაულები**

### **1. საქმე N1600/15, N11/02/2015, 11.02.2015, ააიპ „იდენტობას“ განცხადება**

2015 წლის 11 თებერვალს, სახალხო დამცველს განცხადებით მომართა არასამთავრობო ორგანიზაცია „იდენტობამ“ მისი იმჟამინდელი აღმასრულებელი დირექტორის, ი. ვ-სა და ამავე ორგანიზაციის სხვა თანამშრომლების მიმართ სიცოცხლის მოსპობის მუქარის საქმეზე. განმცხადებლის განმარტებით, მისი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, დისკრიმინაციული მოტივებით, განზრახ ჭიანჭურდება საქმეზე ეფექტური გამოძიება. 2018 წლის 14 თებერვალს პროკურატურიდან მოწოდებული ბოლო ინფორმაციის თანახმად, მათ მიერ ჩატარებულ იქნა მთელი რიგი საგამოძიებო მოქმედებები. გამოძიება მიმდინარეობს და ამ ეტაპზე ვინმე ბრალდებულად/დაზარალებულად ცნობილი არ არის.

### **2. საქმე N1700-13, 09.06.2016, სახალხო დამცველის ინიციატივით ზ. შ-ის მკვლელობის მცდელობის ფაქტზე ინფორმაციის გამოთხოვა**

2016 წლის 16 ოქტომბერს, საქართველოს სახალხო დამცველი საჯარო განცხადებით გამოეხმაურა მედიით გავრცელებულ ინფორმაციას ტრანსგენდერი ქალისთვის მძიმე ფიზიკური დაზიანებების მიყენების შესახებ, რაც მსხვერპლის გარდაცვალებით დასრულდა როგორც სახალხო დამცველის აპარატისთვის არის ცნობილი, აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (შემდგომში სსკ) 19-108-ე (განზრახ მკვლელობის მცდელობის) მუხლით მიმდინარეობს. 2016 წლის 28 ოქტომბერს, იმავე საქმის ფარგლებში, საქართველოს სახალხო დამცველმა გამოითხოვა ინფორმაცია ზ. შ-ის მკვლელობის მცდელობის ფაქტზე მიმდინარე გამოძიებასთან დაკავშირებით, მათ შორის, შესაძლო სიძულვილის მოტივის იდენტიფიცირების მიზნით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შესახებ. პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს 2016 წლის 3 ნოემბრის წერილით სახალხო დამცველს ეცნობა, რომ სხვადასხვა საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შედეგად, ქმედების სიძულვილის მოტივით განხორციელების ფაქტი არ იკვეთება.

### 3. საქმე N1700-13, 09.06.2016, ვეგან კაფე „Kiwi“

2016 წლის 9 ივნისს სახალხო დამცველმა საკუთარი ინიციატივით დაიწყო საქმის წარმოება ვეგანურ კაფე „Kiwi“-ში მომხდარი ინციდენტის თაობაზე. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, ვეგან-კაფეს ადმინისტრაციაზე დაყრდნობით, გავრცელდა ინფორმაცია, რომ 2016 წლის 29 მაისს სადამოს საათებში კაფეს ჰქონდა ღონისძიება (ანიმაციური ფილმის ჩვენება), რა დროსაც, პროვოკაციისა და დარბევის მიზნით, შეიჭრნენ „ქართული ძალა“ („ბერგმანის“) დაჯგუფების წევრები, დაახლოებით 15-20 ადამიანი, რომელთაც ხელში ეჭირათ მწვადები, შამფურზე მოთავსებული და კისერზე ჰქონდათ შემოხვეული სოსისების ასხმა და მაგიდებთან მსხდომ მომხმარებლებს თეფშებში ჩაუყარეს მწვადები და სოსისები, ისროდნენ მწვადებს და აღნიშნულს ვიდეო ჩამწერით აფიქსირებდნენ. ხმაურზე გამოვიდნენ მეზობლები და ასევე დაიწყეს თავდასხმა „კივის“ მომუშავე პერსონალსა და სტუმრებზე. ერთ-ერთი მეზობელი გამოვიდა დანით და ამ უკანასკნელთ სიცოცხლის მოსპობით ემუქრებოდა. ადგილზე გამოძახებულ იქნა საპატრულო პოლიციის ეკიპაჟი.

2018 წლის 14 თებერვლის წერილით, პროკურატურამ სახალხო დამცველს აცნობა, რომ სსკ 125-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით, შსს ძველი თბილისის სამმართველოს პირველ განყოფილებაში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის N006300516002 საქმეზე, ქ. თბილისში, ვერცხლის ქ. N40-ის მიმდებარედ გ. ი-ის მიმართ განხორციელებული ცემის ფაქტზე. მითითებული სისხლის სამართლის საქმეზე დანაშაულის მოტივისა და ქვემარტების დადგენის მიზნით, ჩატარდა რიგი საგამოძიებო მოქმედებები: დაიკითხა 25-ზე მეტი მოწმე, მათ შორის, კაფე „კივის“ თანამშრომლები, დათვალიერდა შემთხვევის ადგილი, მოპოვებულ იქნა ვიდეოჩანაწერები, ჩატარდა პირთა ამოცნობები და დაინიშნა ექსპერტიზა. ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად არ გამოიკვეთა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედების ფაქტი,

შესაბამისად საქმეზე შეწყდა გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით.

#### **4. საქმე N3479/17, 13.03.2017, ა. ბ-ს და ა. ღ-ის განცხადება**

2017 წლის 13 მარტს, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს განცხადებით მომართეს ა. ბ-მ და ა. ღ-მ. განცხადების თანახმად, 2017 წლის 3 მარტს, თბილისში, ლეონიძის ქ. N4-ში არსებულ სუპერმარკეტ „იოლი გასტრონომია“-ს მიმდებარე ტერიტორიაზე მდგომმა პირებმა განმცხადებლებს გარეგნობის და სექსუალური ორიენტაციის გამო სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს. შემთხვევის ადგილზე რეაგირებისთვის იმყოფებოდნენ შსს ძველი თბილისის პოლიციის სამმართველოს VII განყოფილების წარმომადგენლები. შსს-ს პასუხის თანახმად, ფაქტზე გამოძიება არ დაწყებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის დანაშაულის ნიშნების არ არსებობის გამო. ამასთან, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა მხრიდან სავარაუდო გადაცდომის ნიშნების გამოკვეთის მიზნით, ინფორმაცია იქნა გამოთხოვილი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის დეპარტამენტიდან, რომელმაც, 2017 წლის 12 ივლისის წერილით განმარტა, რომ სამინისტროს მოსამსახურეების მხრიდან გადაცდომის ფაქტები არ გამოვლენილა.

#### **5. საქმე N 5477/17, რ. კ.-წ.**

2017 წლის 21 აპრილს სახალხო დამცველს დაუკავშირდა კ. ბ-ე, რომელმაც მოგვანოდა ინფორმაცია 2017 წლის 20 აპრილს ცირკის მიმდებარე ტერიტორიაზე ასოციაციის თანამშრომლების მიმართ განხორციელებული შესაძლო უფლებადარღვევის ფაქტთან დაკავშირებით. მოწოდებული ინფორმაციით, 2017 წლის 20 აპრილს ღამის საათებში (დაახლოებით 23:00 საათზე), თბილისში, ცირკის მიმდებარე ტერიტორიაზე, ლგბტ+ ასოციაციის „თემიდა“ თანამშრომლებს, რ. კ.-წ-ს და დ. გ-ს თავს დაესხა 4 პიროვნება, რომლებსაც ეკეთათ პირბადეები. თავდასხმისას დათო გელაშვილმა მოასწრო გაქცევა, თუმცა რ. კ.-წ-ს თავდამსხმელებმა მიაყენეს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა. როგორც განმცხადებელმა აღნიშნა, ადგილზე გამოძახებული იყო საპატრულო პოლიცია და სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადა.

2018 წლის 30 მარტს საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, რ. კ.-წ-ს ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტზე გამოიკითხნენ მოწმეები, დათვალაირდა შემთხვევის ადგილი, დაინიშნა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა, ჩატარდა საგამოძიებო ექსპერიმენტი. ბრალდებულად ან დაზარალებულად კონკრეტული პირი ცნობილი არ ყოფილა. აგრეთვე აღსანიშნავია, რომ სავარაუდო სიძულვილის მოტივის გამოკვეთის შესახებ ინფორმაცია გამოთხოვის მიუხედავად არ მოგვეწოდა.

#### **6. საქმე N 12764/17, გ. რ.-რ.**

2017 წლის 30 აგვისტოს საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით მომართა ტრანსგენდერმა ქალმა გ. რ.-რ.-მ მის მიმართ განხორციელებული შესაძლო უფლებადარღვევის ფაქტის შესახებ. განმცხადებლის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, 2017 წლის 30 აგვისტოს ღამის საათებში იმყოფებოდა თამარ მეფის ხიდზე, სეირნობდა მოტოციკლით, რა დროსაც მისთვის გაუგებარი მიზეზით, მოძრაობის დროს წაიქცა მოტოციკლი და მიიღო დაზიანებები. ადგილზე გამოძახებულ იქნა სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადა, რომლის მეშვეობითაც იგი გადაიყვანეს ინგოროყვას სახელობის კლინიკაში. განმცხადებლის თქმით, ექიმებმა და საავადმყოფოს დაცვის წევრებმა მიაყენეს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა, ამასთან ეპყრობოდნენ ჰომოფობიურად რის გამოც დატოვა საავადმყოფო და მოვიდა საქართველოს სახალხო დამცველის ოფისში დახმარების თხოვნით. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში გამოძახებულ იქნა საპატრულო პოლიცია და სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადა.

2018 წლის 11 მაისს საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, აღნიშნულ ფაქტზე მიმდინარეობს გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის 1<sup>1</sup> ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით, როგორც გვეცნობა, მოწმეებს დაესვათ მოტივის გამოსაკვეთად სათანადო კითხვები.

### III. ეთნიკური უმცირესობების მიმართ ჩადენილი სავარაუდო დანაშაულები

#### 1. საქმე N6933/16, 01.06.2016, ნ. ა-ს განცხადება

2016 წლის 1 ივნისს, სახალხო დამცველს განცხადებით მომართა ნ. ა-მ, რომლის განმარტებით, ის და მისი ოჯახის რვავე წევრი არიან ერაყის მოქალაქეები. განმცხადებლის განმარტებით, მათ შეიძინეს სახლი და დაიწყეს ღობის მშენებლობა. განმცხადებელი უთითებს, რომ ღობის აშენების დაწყების დღიდან მეზობლები დევნიან და ავიწროებენ მის ოჯახს. ასევე აიძულებენ სახლის გაყიდვას და ეუბნებიან რომ ერაყელების ადგილი საქართველოში არ არის. 2016 წლის 31 მაისს კი 50-მდე პირი შეიჭრა მათ სახლში და უყვიროდნენ დაეტოვებინათ საქართველო, დაუმტვრიეს ნივთები და სცემეს მისი ორი არასრულწლოვანი შვილი, ხოლო განმცხადებლის სიმეს დაპირისპირებისას ფეხი მოტყდა.

საქართველოს პროკურატურის 2016 წლის 5 ივლისის პასუხში აღნიშნულია, რომ 2016 წლის 31 მაისს დარეგისტრირდა 4 განსხვავებული შინაარსის შეტყობინება, რომელიც ეხებოდა სექსუალური ძალადობის ფაქტს და სამეზობლო კონფლიქტს. პასუხში მითითებულია, რომ განმცხადებელი და მისი ოჯახის წევრები ახორციელებენ უკანონო მშენებლობას, ასევე დადიან ეზოში ტანისამოსის გარეშე, აყენებენ მეზობლებს სიტყვიერ შეურაცხყოფას რამაც გამოიწვია მეზობლებთან ურთიერთობის დაძაბვა. 2016 წლის 30 მაისს კი საცხოვრებელი სახლის ეზოში იმყოფებოდა საცვლების გარეშე მამაკაცი, რაც დაინახა 5 წლის ბავშვმა და ამის

თაობაზე მოუყვა მშობლებს. აღნიშნული ფაქტის გამო, იმავე წლის 31 მაისს ურთიერთობა გამწვავდა და გადაიზარდა სიტყვიერ დაპირისპირებაში. პროკურატურა ასევე უთითებს რომ მათ გამოკითხეს კონფლიქტის მონაწილე პირები, მათ შორის განმცხადებელი. განმცხადებლის სიძის განმარტებით, მისთვის ფიზიკური შეურაცხყოფა არ მიუყენებიათ და მას პრეტენზია არავის მიმართ არ გააჩნია.

## **2. საქმე N8162/16, 28.06.2016, თ. კ-ის განცხადება**

2016 წლის 28 ივნისს, სახალხო დამცველს განცხადებით მომართა თ. კ-მ, რომლის განმარტებით, მას და მის დედას, ი. კ-ს მეზობელი, თ. დ., მუდმივად ემუქრება და აყენებს შეურაცხყოფას. ამასთან, ამ უკანასკნელმა, ი. კ-ს მიაყენა ჭრილობა დანით, რის შესახებაც მათ განაცხადეს შსს ძველი თბილისის სამმართველოში, თუმცა პოლიციამ აღნიშნულის თაობაზე მხოლოდ ოქმი შეადგინა. განმცხადებელის მითითებით, თ. დ-ის ქმედებებს ეთნიკური მოტივი აქვს, ვინაიდან ის და მისი ოჯახის წევრები რუსულად საუბრობენ. 2018 წლის 14 თებერვლის წერილით, პროკურატურამ სახალხო დამცველს აცნობა, რომ საქმეზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში გამოკითხნენ მოწმეები, ჩატარდა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზები. ჩატარებული გამოძიების შედეგად არ გამოიკვეთა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქმეზე შეწყდა გამოძიება.

## **3. საქმე N11457/16, 05.09.2016, ნ. ბ-ის განცხადება**

2016 წლის 9 სექტემბერს საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით მომართა ნ. ბ-მ, რომლის განმარტებით, ზ. ო-მ და სხვა პირებმა მას მიაყენეს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა, ვინაიდან ის არის აზერბაიჯანელი. განმცხადებელი განმარტავს, რომ გაიგონა შემდეგი გამონათქვამები: *მე ვარ ზ. ო., დმანისი ჩვენია*. ამის შემდეგ ხელი პირადად განმცხადებლისკენ გაიშვირა და უთხრა: *თქვე თათრებო, თქვე ბორჩალოს მოღალატეებო, შენ აქ არავინ გაგაჭაჭანებთ და წაეთრიეთ აქედან*. განცხადებაში აღნიშნულია, რომ სასწრაფო დახმარების მანქანამ იგი გადაიყვანა საავადმყოფოში, რომელიც ეკუთვნის ზ. ო-ს ბიძაშვილს, სადაც მას არ გაუწიეს პირველადი სამედიცინო დახმარება და მასზე არ გადასცეს ფორმა N100. განმცხადებლის მითითებით ზ. ო. არის „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატი და მისი კონკურენტი არჩევნებში.

## **4. საქმე N11409/16, 05.09.2016, ნ. ე-ს განცხადება**

2016 წლის 5 სექტემბერს სახალხო დამცველს განცხადებით მომართა ნ. ე-მ, რომლის განმარტებით, მეზობელთან სტუმრად მყოფმა მამაკაცმა, თ. ი-მ მას ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. ნ. ე-ს ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობა და ცემის ფაქტი დასტურდება შპს „I

კლინიკური შპს“-ს მორიგე ექიმის, ვ. ს-ს მიერ გაცემული ცნობით. ნ. ე-სადმი ძალადობას, სავარაუდოდ, საფუძვლად დაედო მისი აზერბაიჯანული წარმოშობა და პოლიტიკური შეხედულებები. პროკურატურის 2018 წლის 14 თებერვლის წერილის თანახმად, საქმეზე ჩატარდა მთელი რიგი საგამომიებო მოქმედებები, გამოკითხულ იქნა მოწმეები, მათ შორის ნ. ე-ც და ჩატარდა ტრასოლოგიური, სასამართლო-სამედიცინო, და კომისიური სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზები. აღნიშნულ საქმეზე, თ. ი-ეს წარედგინა ბრალი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 120-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის. დაზარალებულად ცნობილ იქნა ნ. ე. ამ ეტაპზე მიმდინარეობს გამოძიება, მათ შორის სიძულვილის მოტივის გამოკვეთის მიმართულებით.

## **5. საქმე N 11458/16, 06.09.2016, ე. ბ-ს განცხადება**

ნ. ბ-ს საქმესთან დაკავშირებით სახალხო დამცველს ასევე მომართა ე. ბ-მ, რომლის მითითებით, ზ. ო-მ მას ხელი გადაუტრიალა და გაარტყა მარჯვენა ყურის არეში. განმცხადებელს თვალთ დაუზნელდა და წამიერად დაკარგა გონება. ზ. ო. კი ისევ აგრძელებდა ლანძვას და უყვიროდა: „ბორჩალოს მოღალატეც ამ თათრის მხარეს ხარ, წაეთრიეთ აქედან, ბორჩალო ჩემია და დმანისი ო-ებისაა“.

2018 წლის 14 თებერვლის წერილით, პროკურატურამ განმარტა, რომ დაიწყო გამოძიება ნ. ბ-სა და ამავე პარტიის წევრის - ე. ბ-ს მიმართ ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. საქმეზე დაზარალებულად ცნობილ იქნენ: ნ. ბ და ე. ბ.. ჩატარებული გამოძიების შედეგად არ დადგინდა სიძულვილის მოტივით დანაშაულის ჩადენის ფაქტი. 2016 წლის 14 სექტემბერს, ზ. ო-ს წარედგინა ბრალი ნ. ბ-ს მიმართ განხორციელებული სხვაგვარი ძალადობისა და ე. ბ-ს ცემის ფაქტებზე, სსკ 125-ე მუხლის პირველი ნაწილით და ეს უკანასკნელი სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით ცნობილ იქნა დამნაშავედ.

## **6. საქმე N11644/16, 08.09.2016, ს. მ-ს განცხადება**

2016 წლის 8 სექტემბერს, საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით მომართა ს. მ-ს ადვოკატმა ე. ე-მ, რომელმაც წარმოადგინა ინფორმაცია მისი დაცვის ქვეშ მყოფის მიმართ სავარაუდო ეთნიკურ ნიადაგზე მოტივირებული ჩადენილი დანაშაულის შესახებ. განმცხადებლის განმარტებით, მის დაცვის ქვეშ მყოფს მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა. მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, თუმცა ახალქალაქის რაიონის პროკურატურა აჭიანურებს საბოლოო შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებას. განცხადებაში აღნიშნულია, რომ 2017 წლის მაისში განმცხადებელმა მიმართა საქართველოს მთავარ პროკურატურას, რის შემდგომაც საქმე

გადაეზავნა სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურატურას, თუმცა დღემდე რეაგირება არ მოჰყოლია. განმცხადებელი მიიჩნევს, რომ რადგანაც ის და მისი ოჯახი არის ეროვნებით სომეხი, ამიტომ ხდება მათი უფლებების დარღვევა.

საქართველოს პროკურატურის 2016 წლის 26 სექტემბრის პასუხში აღნიშნულია, რომ საქართველოს შსს სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტის ახალქალაქის რაიონული სამმართველოს თანამშრომელთა მიერ, ძალადობით სამსახურებრივი უფლებამოსილების შესაძლო გადამეტების ფაქტზე, სსკ 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით ჩატარდა შემდეგი საგამოძიებო მოქმედებები: მოწმის სახით დაიკითხა 30-ზე მეტი პირი, მათ შორის, განმცხადებელი და მისი ოჯახის წევრები, აგრეთვე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ახალქალაქის რაიონული სამმართველოს პოლიციის თანამშრომლები, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტი, ახალციხის სამედიცინო ცენტრის ექიმები. საქმის შესწავლის ფარგლებში დაკითხულ და გამოკითხულ არც ერთ პირს, მათ შორის ს. მ-ს და მის მიერ მითითებულ პირებს, არ განუცხადებიათ, რომ პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან, ადგილი ჰქონდა ეთნიკური ნიშნით შეურაცხყოფას, შესაბამისად გამოძიების დროს სიძულვილის მოტივი არ გამოიკვეთა. საქმეზე ჩატარდა სხვადასხვა სახის ექსპერტიზები. დაზარალებულად ან ბრალდებულად კონკრეტული პირი ცნობილი არ არის. გამოძიება გრძელდება.

#### **IV. რასობრივი მოტივით ჩადენილი სავარაუდო დანაშაულები**

##### **1. საქმე N5752/18, 11.04.2018, ფერადკანიანი სტუდენტების მიმართ სავარაუდო ძალადობის ფაქტი, სახალხო დამცველის ინიციატივით**

2018 წლის 11 აპრილს სახალხო დამცველმა, საკუთარი ინიციატივით დაიწყო საქმის შესწავლა მედიასა და სოციალურ ქსელებში გავრცელებული ფაქტების თაობაზე. გავრცელებული ინფორმაციით, 2018 წლის 8 აპრილს, დაახლოებით 18:00-ზე, თბილისში, ბელიაშვილის ქუჩაზე მდებარე სპორტულ მოედანზე რამდენიმე ფერადკანიანი სტუდენტი დაახლოებით 2 საათის განმავლობაში ფეხბურთს თამაშობდა, რის შემდეგაც ისინი აგრესიული კაცების ჯგუფმა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის ფონზე გააძევა ტერიტორიიდან. სოციალურ ქსელში გავრცელებულ ვიდეოში ჩანდა, თუ როგორ აყენებენ სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას ხელკეტებით შეიარაღებული პირები ფერადკანიან ახალგაზრდებს. თვითმხილველის თქმით, მოქალაქეების აგრესიულმა ჯგუფმა იძულებით დაატოვებინა მათ ტერიტორია.

ფიზიკური შეურაცხყოფისა და მუქარის ვიდეო ერთ-ერთმა დაზარალებულმა თავადაც გადაიღო, სადაც ჩანდა, რომ ის და მისი მეგობრები გაიქცნენ. მათი განცხადებით, რასისტული

და დისკრიმინაციული ძალადობის გამო პოლიცია გამოიძახეს და ვიდეოც აჩვენეს, თუმცა სამართალდამცველებმა უთხრეს, რომ „მომხდარი და ეს კაცები დაევიწყებინათ”.

2018 წლის 20 აპრილის წერილით, საქართველოს მთავარმა პროკურატურამ განმარტა, რომ 2018 წლის 9 აპრილს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დიდუბე-ჩუღურეთის სამმართველოს პირველ განყოფილებაში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის N002090418001 საქმეზე, ქ. თბილისში, ბელიაშვილის ქუჩაზე მდებარე სტადიონზე უცხო ქვეყნის მოქალაქეების ცემის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

აღნიშნულ საქმეზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში ჩატარდა რიგი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები, მათ შორის შესაძლო სიძულვილის მოტივის იდენტიფიცირების მიზნით: გამოიკითხა რამდენიმე ათეული მოწმე, დათვალიერდა მობილური ტელეფონი, გადაღებულ კადრებზე დაინიშნა (ფონო) ვიდეოსკოპური ექსპერტიზა. საქმეზე დანიშნულია სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზებიც. ბრალდებულად ან დაზარალებულად კონკრეტული პირი ცნობილი არ არის. გამოძიება გრძელდება.

2018 წლის 27 აპრილის წერილით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის დეპარტამენტმა განმარტა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების პროცესში გამოთხოვილი იქნა ინფორმაცია, სისხლის სამართლის საქმეზე ქ. თბილისში, ბელიაშვილის ქუჩაზე მდებარე მოედანზე უცხო ქვეყნის მოქალაქეების ცემის ფაქტზე. გამოიკითხნენ

შემთხვევის ადგილზე მყოფი შს სამინისტროს მოსამსახურეები, რომლებმაც კატეგორიულად უარყვეს წერილში მოყვანილი ფაქტები. მიუხედავად აღნიშნულისა ისინი მკაცრად იქნენ გაფრთხილებულნი სამსახურებრივი მოვალეობები შეასრულონ ჯეროვნად და იმოქმედონ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით.

## **V. სამართალდამცავთა მიერ სიძულვილის მოტივით მიყენებულ სავარაუდო ფიზიკური/სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტები**

### **1. საქმე N7216/16, 07.07.2016, ვ. ტ-ს განცხადება**

საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებული გაესაუბრა მოქალაქე ვ. ტ-ს. მოქალაქის განმარტებით, 2016 წლის 7 ივნისს, ცირკის მიმდებარე ტერიტორიაზე მის მეგობრებს უცნობმა პირებმა მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა და დაემუქრნენ სიცოცხლის მოსპობით. ვ. ტ-ს მითითებით, აღნიშნული ინციდენტის გამო გამოიძახეს საპატრულო პოლიცია, თუმცა სამართალდამცველებმა ადგილზე მისვლის შემდეგ არ განახორციელეს სათანადო რეაგირება.



ამასთან, საპატრულო პოლიციის თანამშრომლები მას და მის მეგობრებს მიმართავდნენ დამცინავი და შეურაცხყოფელი სიტყვებით.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის 2016 წლის 26 ივლისის პასუხში აღნიშნულია, რომ გენერალურ ინსპექციაში ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმებით შს სამინისტროს მოსამსახურის მხრიდან დისციპლინური გადაცდომის ფაქტი არ დადასტურდა.

## **2. საქმე N6679/16, 07.07.2016, ა. კ-ს განცხადება**

2016 წლის 7 ივლისს, სახალხო დამცველს განცხადებით მომართა ა. კ-მ, რომელმაც განმარტა, რომ იგი დააკავეს 2015 წლის 25 მაისს. დაკავების დროს მას სამართალდამცავებმა მიაყენეს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა ეთნიკურ კუთვნილებაზე მითითებით. მსჯავრდებულს არაერთგზის უწოდეს „ქურთი“ დამამცირებელ კონტექსტში. შსს ისანი-სამგორის I განყოფილებაში მიყვანის შემდეგ, გამომძიებელმა ნ. ლ-მ განმცხადებელს თავის არეში ხელი დაარტყა და მიმართა - „ქურთებმა ტვინი წაიღეთ, თქვენი ჯიში გაწყდა“. 2018 წლის 14 თებერვლის შსს გენერალური ინსპექციის წერილის თანახმად, ჩატარდა სამსახურებრივი შემოწმება და გამოიკითხნენ პოლიციელები.

## **3. საქმე N13098/16, 10.10.2016, გ. ლ-ს განცხადება**

2015 წლის 9 ოქტომბერს, სახალხო დამცველის აპარატს, ცხელი ხაზის მეშვეობით დაუკავშირდა გ. კ., რომელმაც განაცხადა, რომ იმყოფებოდა შსს პოლიციის მე-7 განყოფილების ტერიტორიაზე. განმცხადებლის განმარტებით, იგი დაკავებული იყო და მისი დაკითხვა 7 საათის განმავლობაში მიმდინარეობდა. განმცხადებელმა ასევე აღნიშნა, რომ მასთან ერთად დაკავებულ პიროვნებას პოლიციელებმა მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა, რისი კვალიც მას ფეხზე აღენიშნებოდა. სახალხო დამცველის რწმუნებული გაესაუბრა განმცხადებელს, რა დროსაც საუბრისას განმცხადებელმა აღნიშნა, რომ მას 7 საათის განმავლობაში ჰკითხავდნენ პოლიციის განყოფილების ფოიეში, რა დროსაც გარშემომყოფებისთვის ცნობილი გახდა მისი გენდერული იდენტობის შესახებ. განმცხადებლის მითითებით, მას პოლიციის თანამშრომლები მიმართავდნენ შეურაცხყოფელი ტერმინებით, ასევე დაემუქრნენ, რომ კომპიუტერს თავში ჩაარტყამდნენ.

შსს გენერალური ინსპექციის 2016 წლის 9 ნოემბრის პასუხში აღნიშნულია, რომ საქმის ობიექტური შესწავლის მიზნით, მოხდა გ. ლ-ს წერილობით დაბარება გენერალურ ინსპექციაში, თუმცა, ის არ თანამშრომლობს შსს სამინისტროს გენერალურ ინსპექციასთან და არ პასუხობს მათ სატელეფონო ზარებს. ამის მიუხედავად, გენერალურ ინსპექციაში ჩატარდა სამსახურებრივი შემოწმება. შსს სამინისტროს მოსამსახურეების მხრიდან დისციპლინური გადაცდომის ფაქტი არ დადასტურდა.

#### **4. საქმე N16302/16, 26.12.2016. მ. ქ-ს განცხადება**

საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით მომართა მ. ქ-მ, რომლის განმარტებით, 2016 წლის 11 ნოემბერს იეჰოვას მოწმეებზე განხორციელებული თავდასხმის ფაქტზე პროკურატურამ ბ. თ-ს ბრალი წაუყენეს სსკ 156-ე მუხლით და სასამართლო პროცესზე მოითხოვა აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდება. მიუხედავად ამისა, სასამართლომ გაათავისუფლა იგი და გირაოს სახით შეუფარდა 3000 ლარის გადახდა. აღნიშნული ფაქტის შემდეგ, 2016 წლის 18 ნოემბერს იგი მივიდა იეჰოვას მოწმე ც. ჭ-ს და რ. მ-ს ტან, როდესაც ეს უკანასკნელი რელიგიურ ღვთისმსახურებას ეწეოდნენ ქ. თბილისში, რუსთაველის მეტროს მიმდებარე ტერიტორიაზე, ხელის კვრით გადაუყირავა სტენდი, მიმოუფანტა რელიგიური ლიტერატურა და მათ დაემუქრა, რომ ნახავდნენ რაც მოუვიდოდათ სასამართლო პროცესის მერე.

ზემოხსენებულ ინციდენტთან დაკავშირებით 112-ზე დარეკვის შემდეგ, ადგილზე გამოცხადდნენ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის და ძველი თბილისის სამმართველოს მე-3 განყოფილების თანამშრომლები. ძველი თბილისის სამმართველოს მე-3 განყოფილების ერთ-ერთმა თანამშრომელმა (სახელად გ.) რელიგიურ მრწამსზე მინიშნებით, არაერთხელ გამოხატა დამცინავი დამოკიდებულება დაზარალებული პირების მიმართ, როგორც ადგილზე, ისე პოლიციის განყოფილებაში გადაყვანის შემდეგ. ამასთან, ცდილობდა გაემართლებინა თავდამსხმელი, უყვიროდა იეჰოვას მოწმეებს და მათ მოიხსენიებდა როგორც „კანონის მხოლოდ სათავისოდ გამომყენებელ ხალხს“.

2017 წლის 1 თებერვალს შსს გენერალური ინსპექციის მიერ მოწოდებული ბოლო ინფორმაციით, წერილი რეაგირებისთვის გადაგზავნეს ძვ. თბილისის რაიონულ პროკურატურაში.

2018 წლის 14 თებერვლის წერილით, პროკურატურამ განმარტა, რომ მ. ქ-ს განცხადების განხილვის შედეგად, არ გამოიკვეთა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ნიშნები, შესაბამისად, აღნიშნულ ფაქტზე გამოძიება არ დაწყებულა, რის თაობაზეც, 2017 წლის 14 ივნისს, წერილობით ეცნობა განმცხადებელს.

#### **5. საქმე N2873/17, 27.02.2017, ზ. (გ.) ბ-ს განცხადება**

2017 წლის 27 თებერვალს, სახალხო დამცველს განცხადებით მომართა ზ. (გ.) ბ-მ, რომლის განმარტებით, იგი არის ტრანსგენდერი ქალი. შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს სახაზო-საპატრულო სამმართველოს ჩუღურეთის მიმართულების IV ოცეულის პატრულ-ინსპექტორმა რ. მ-მ ის დააკავა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენისათვის. თბილისის საქალაქო სასამართლომ განიხილა აღნიშნული საქმე და ვინაიდან საქმეში არ არსებობდა მის მიერ ადმინისტრაციული

სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტის უტყუარად დადგენილი გარემოება, სასამართლომ მიიჩნია, რომ იგი არ ექვემდებარება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლით ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას და რომ საქმის წარმოება უნდა შეწყდეს. განმცხადებლის მითითებით, არსებობს ეჭვი, რომ პატრულ-ინსპექტორ რ. მ-ს მიერ მისთვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილების გამოყენებას საფუძვლად დაედო ჰომო/ტრანსფობიური წინასწარგანწყობები. შსს გენერალური ინსპექციის 2017 წლის 5 აპრილის წერილის თანახმად, ფაქტზე მიმდინარეობს სამსახურებრივი შემოწმება.

## **6. საქმე N3272/17, 07.03.2017, მ. ქ-ს განცხადება**

2017 წლის 7 მარტს საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით მომართა ადვოკატმა მ. ქ-მ. განცხადების თანახმად, 2017 წლის 2 თებერვალს გარდაბნის რაიონის სოფელ სართიჭალაში იეჰოვას ორ მოწმეს - რ. თ-ს და ს. პ-ს და მათთან მყოფ გ. თ-ს და პ. ან-ს თავს დაესხა იმავე სოფლის ოთხი მაცხოვრებელი. განმცხადებელი ასევე განმარტავს, რომ აღნიშნული საქმის გამოძიების ეტაპზე, პოლიციის თანამშრომლებმა გამოავლინეს რელიგიური უმცირესობების მიმართ დისკრიმინაციული დამოკიდებულება და მათი ქმედებები შეიცავს დანაშაულის ნიშნებს.

პროკურატურის წერილის თანახმად, 2017 წლის 3 თებერვალს დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის N021030217001 საქმეზე გ. თ-ს ჯანმრთელობის დაზიანების ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 118-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. საქმეზე ჩატარდა რიგი საგამოძიებო მოქმედებები. გამოძიების შედეგად არ გამოიკვეთა რელიგიური შეუწყნარებლობის მოტივით დანაშაულის ჩადენის ფაქტი. ზემოაღნიშნულ საქმეზე, 2017 წლის 1 მარტს, ო. ხ-ს წარედგინა ბრალი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით, ხოლო ზ. ჯ-ს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით და 120-ე მუხლით. სისხლის სამართლის საქმეზე გ. და რ. თ-ები ცნობილნი არიან დაზარალებულებად.

გენ. ინსპექციის პასუხის თანახმად, შემოწმების შედეგად, შს სამინისტროს მოსამსახურეთა მხრიდან დისკრიმინაციული გადაცდომის ფაქტი ვერ დადასტურდა.

## **7. საქმე N5925/17, 01.05.2017, გ. (ქ.) ლ-ს განცხადება**

2017 წლის 28 აპრილს, 20:25-ზე, სახალხო დამცველს ცხელი ხაზის მეშვეობით დაუკავშირდა გ. (ქ.) ლ., რომლის განმარტებით, ის არის ტრანსგენდერი ქალი. მამაკაცებთან კონფლიქტის გამო იმყოფება ქ. ბათუმის პოლიციის N2 განყოფილებაში, სადაც აყენებენ სიტყვიერ შეურაცხყოფას, ასევე, მიმართავენ როგორც მამაკაცს. აღნიშნულის გამო განმცხადებელი თავს მიიჩნევს დისკრიმინაციის მსხვერპლად.

2017 წლის 15 მაისს შსს ბათუმის პოლიციის N2 განყოფილების პასუხით სახალხო დამცველს ეცნობა, რომ გამოკითხულ იქნა საქმეში მოხსენიებული პირები, თუმცა გამოძიება არ დაწყებულა და ჩატარდა პროფილაქტიკური სამუშაოები.

ამასთან, სახალხო დამცველმა შსს გენერალური ინსპექციიდან (დეპარტამენტი) გამოითხოვა ინფორმაცია ჩატარდა თუ არა შიდაუწყებრივი მოკვლევა განმცხადებლის მიერ აღწერილ ფაქტებთან დაკავშირებით, რაზეც, 2017 წლის 13 ნოემბერს, ეცნობა, რომ შსს გენერალურ ინსპექციაში ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების შედეგად შსს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტის მომსახურეთა მხრიდან დისციპლინური გადაცდომის ფაქტი არ დადასტურდა.

#### **8. საქმე N10293/17, 13.07.2017, ამხანაგობის „კანონიერება და სამართალი კავკასიაში“ ადვოკატის მ. ქ-ს განცხადება**

2017 წლის 13 ივლისის საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით მომართა ამხანაგობა „კანონიერება და სამართალი კავკასიაში-ს“ ადვოკატმა მ. ქ-მა, რომლის განმარტებით, 2017 წლის 30 ივნისს იეჰოვას მოწმეები, მ. ლ. და ვ. კ. ლიტერატურის სტენდის გამოყენებით ეწეოდნენ რელიგიურ მსახურებას, ქ. თბილისში წინანდლის N9/დ-ში - იეჰოვას მოწმეების რელიგიური შეკრებისათვის განკუთვნილი შენობის წინ. მათთან მივიდა ხანდაზმული ქალბატონი, რომელიც გინებით და ყვირილით შევიდა მათი შენობის ეზოში და იმუქრობდა ყველაფრის დამტვრევით. განმცხადებელი განმარტავს, რომ ვ. კ. და მ. ლ. მოუწოდებდნენ მას ტერიტორიის მშვიდად დატოვებისკენ, თუმცა ამის საპასუხოდ ქალბატონმა მ. ლ-ს მარცხენა ხელი ჩამოკაწრა, ხოლო ვ. კ-ს ხელებს ურტყამდა და ორჯერ სახეში შეაფურთხა. შემთხვევის ადგილზე მივიდნენ თ. ბ. და მისი მეუღლე ლ. ა., რომლებიც ასევე იეჰოვას მოწმეები არიან. განმცხადებლის მითითებით, ხსენებულმა ქალბატონმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა ასევე თ. ბ-ს. ყოველივე აღნიშნულმა კი გამოიწვია მათი რელიგიური მსახურების ჩაშლა.

განცხადებაში ასევე აღნიშნულია, რომ მომხდარი ინციდენტის შესახებ ვ. კ-მ და მ. ლ-მ დეტალური ინფორმაცია მიაწოდეს ისანი-სამგორის სამმართველოს მე-11 განყოფილების გამომძიებელს გ. ც-ს, რომელმაც შეადგინა გამოკითხვის ოქმი. მ. ლ-მ უარი განაცხადა ოქმის ხელმოწერაზე, ვინაიდან მიიჩნია, რომ გამომძიებელმა არასრულად ასახა მისი მონათხრობი. კერძოდ, ის გარემოება, რომ ის და ვ. კ. რელიგიურ მსახურებას ატარებდნენ და ამ შემთხვევის შედეგად ჩაიშალა მათი მსახურება. ამასთან, გ. ც-მ მ. ლ-სა და ვ. კ-ს განუმარტა, რომ მას შეეძლო ქალბატონის მხოლოდ წერილობითი სახით გაფრთხილება და მის მიმართ სხვა ზომას ვერ გაატარებდნენ.

განცხადებაში ასევე აღნიშნულია, რომ პოლიციის განყოფილებაში მივიდა ადვოკატი - მ. ქ., რომელიც ასევე უთითებს, რომ გ. ც-მ მასაც განუცხადა, რომ ქალბატონის მიმართ ხელწერილით გაფრთხილების გარდა, სხვა ზომას ვერ გაატარებდნენ. ადვოკატის თქმით, მან მოსთხოვა გ. ც-ს თავიდან შეედგინა გასაუბრების ოქმი. მიუხედავად იმისა, რომ გ. ც-მ რამდენჯერმე შეადგინა ოქმი, მან არცერთხელ არ ასახა ის გარემოება, რომ ვ. კ-სა და მ. ლ-ს

მომხდარი ინციდენტის გამო ჩაეშალათ რელიგიური მსახურება. განცხადებაში ასევე აღნიშნულია, რომ გ. ც. ცდილობდა მ. ლ-ს ეთქვა, რომ მისთვის არავის არ დაურტყამს და ჩამოკაწრის შედეგად მას ტკივილი არ განუცდია. ასევე იგი ცდილობდა თავად იეპოვას მოწმეების დადანაშაულებას მომხდარში. ფსიქოლოგიური ზეწოლის შედეგად, მ. ლ. შეუძლოდ გახდა და ითხოვა წყალი. რაზეც გ. ც-მ განუცხადა რომ ჭიქები არ ჰქონდათ პოლიციის შენობაში.

განმცხადებელი განმარტავს, რომ 4 საათიანი უშედეგო პროცედურის შემდგომ, ვინაიდან გამომძიებელი არ აპირებდა გამოძიების დაწყებას და ფაქტების სრულად ასახვას, მათ გადაწყვიტეს შენობის დატოვება. აღნიშნულმა გადაწყვეტილებამ გააღიზიანა გ. ც., ზ. ტ. და პოლიციის სხვა თანამშრომლები. განმცხადებლის განმარტებით, ზ. ტ. მას შემდეგი სიტყვებით მიმართავდა: „ვაჟკაცურად მოიქეცი ბიჭო“, „კაცი არ ხარ?“ და ა.შ. მან ასევე ფიზიკურადაც გაიწია განმცხადებლისკენ.

გ. ც-მ ღამის თორმეტ საათზე დაურეკა მ. ლ-ს და სთხოვა პოლიციის განყოფილებაში მისვლა, რაზეც მ. ლ-მ მას განუცხადა, რომ ნერვიულობის გამო ჰქონდა მალალი წნევა და პოლიციაში მისვლას ვერ შეძლებდა. ამის შემდეგ მ. ლ-ს სადარბაზოში დახვდნენ გ. ც. და ზ. ტ., გადასცეს წერილობითი უწყება და მეორე დღეს (კვირას) დაიბარეს დაკითხვაზე. გ. ც-მ დაკითხვის უწყება ასევე გადასცა ვ. კ-ს და თ. ბ-ს და განუცხადა, რომ პოლიციაში გამოუცხადებლობის შემთხვევაში ძალით მიიყვანდნენ ან დააჯარიმებდნენ.

განმცხადებელი მიუთითებს, რომ პოლიციელების თანამშრომელთა მხრიდან განხორციელდა დისკრიმინაციული მოპყრობა იეპოვას მოწმეების მიმართ. განმცხადებლის მოსაზრებით, იეპოვას მოწმეების მიმართ დისკრიმინაციული დამოკიდებულებების გამო არ ასახა გამომძიებელმა სრულად მომხდარი ფაქტი. გ. ც-ს მიზანი იყო მომხდარის შერბილება, რაც გამოიწვევდა გამოძიების დაწყებაზე უარს და იეპოვას მოწმეების უფლებების დაცვაც აღარ მოხდებოდა. ამაზე პირდაპირ მოუწოდებდა ზ. ტ-ც რომ დაენდოთ ქალბატონი და არ დაეფიქსირებინათ საქმისათვის მნიშვნელოვანი ასპექტები. განმცხადებელი მიიჩნევს, რომ პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან დისკრიმინაციული დამოკიდებულება მისი მისამართითაც გამოვლინდა. კერძოდ, არ ძლევდნენ შენიშვნების დაფიქსირების საშუალებას და იქ მყოფ იეპოვას მოწმეებს მოუწოდებდნენ, არ დაეჯერებინათ მისთვის, ასევე უკრძალავდნენ მასთან კომუნიკაციას.

განმცხადებლის განმარტებით, მან საჩივარი ასევე წარადგინა შინაგან საქმეთა სამინისტროში, შსს გენერალურ ინსპექციასა და მთავარ პროკურატურაში, რომლითაც ითხოვენ პოლიციელთა მხრიდან განხორციელებულ უკანონო ქმედებაზე რეაგირების მოხდენას, ასევე მათ ქმედებებში დანაშაულის ნიშნების გამო გამოძიების დაწყებას.

2018 წლის 14 თებერვლის წერილით, პროკურატურამ განმარტა, რომ ქ. თბილისის პროკურატურის საგამომძიებო ნაწილის წარმომავალი სისხლის სამართლის საქმე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის რიგი

თანამშრომლების მიერ მ. ლ-სა და ვ. კ-ს მიმართ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე. გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. აღნიშნული საქმის შესწავლის ფარგლებში, გამოიკითხნენ მოწმეები. საქმეზე ბრალდებულად ან დაზარალებულად კონკრეტული პირი ცნობილი არ არის და გამოძიება გრძელდება.

#### **9. საქმე N15132/16, 29.11.2017, გ.რ.რ-ს განცხადება**

2017 წლის 29 ნოემბერს, სახალხო დამცველს განცხადებით მომართა გ.რ.რ-მ, რომლის განმარტებით, იგი არის ტრანსგენდერი ქალი. მას და მის მეგობრებს კონფლიქტი მოუვიდათ რამდენიმე პიროვნებასთან, რის გამოც გამოიძახეს საპატრულო პოლიცია. განმცხადებლის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა არ განახორციელეს სათანადო რეაგირება და ინციდენტში მონაწილე მეორე მხარეს მისცეს მიმალვის დრო. განმცხადებლის განმარტებით, ადგილზე მობილიზებული იყო კრიმინალური პოლიციაც, თუმცა, სამართალდამცავები აგრესიულად იყვნენ განწყობილნი, ესაუბრებოდნენ ხმამაღალი ტონით და ჰომოფობიური გამონათქვამებით მიაყენეს სიტყვიერი შეურაცხყოფა. შსს გენერალური ინსპექციის, 2016 წლის 21 დეკემბრის, წერილის თანახმად, ფაქტზე ინფორმაცია არ შესულა.

#### **10. საქმე N 9391/18, 22.06.2018, გ.რ.რ-ს განცხადება**

2018 წლის 16 ივნისს სახალხო დამცველის აპარატს მომართა ტრანსგენდერმა ქალმა, გ.რ.რ-მ. მისი განცხადებით, დააკავეს ადმინისტრაციული წესით და გორში არსებულ წინასწარი დაკავების იზოლატორში გადაიყვანეს. განმცხადებლის თქმით, იზოლატორში მოთავსების დროს, დაწესებულების უფროსის მხრიდან ადგილი ჰქონდა ჰომოფობიურ და დამცინავ კომენტარებს. განმცხადებელი ასევე უთითებს დაწესებულების თანამშრომლების მხრიდან სავარაუდო ძალის გადამეტების შესახებ.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის 2018 წლის 9 ივლისის წერილის თანახმად, ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმებით, შს სამინისტროს მოსამსახურეების მხრიდან დისციპლინური გადაცდომის ფაქტმა დადასტურება ვერ ჰპოვა.

#### **11. საქმე N 9198/17, 27.06.2017 წ. უ-ს განცხადება**

2018 წლის 27 ივნისს, სახალხო დამცველს დაუკავშირდა ტრანსგენდერი ქალი ნ. უ., რომელმაც განაცხადა, რომ 2017 წლის 27 ივნისს, თბილისში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროს N 8-ის მიმდებარე ტერიტორიაზე ნ. უ-სა და მის მეგობრებს თავს დაეხა უცნობი პირი, რომელმაც წაიღო თანხა და მიაყენა მათ ფიზიკური შეურაცხყოფა. განცხადების თანახმად, ადგილზე გამოძახებული იყო საპატრულო პოლიცია. ნია უკლებას განმარტებით, ის სამართალდამცავი

ორგანოს წარმომადგენელმა წააქცია. განცხადებაში, ასევე აღნიშნულია, რომ საქმეზე მომუშავე სამართალდამცველები გამოირჩეოდნენ ჰომოფობიური და ტრანსფობიური განცხადებებით, რაც იწვევდა ტრანსგენდერი ქალების გაღიზიანებას.

სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტმა აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით მიმართა გენერალურ ინსპექციას თხოვნით, მოეწოდებინათ საქმის შესწავლის შედეგები. 2017 წლის 31 აგვისტოს მიღებული პასუხის თანახმად, სამსახურებრივი შემოწმების შედეგად, შს სამინისტროს მოსამსახურეების მხრიდან დისციპლინურმა გადაცდომამ დადასტურება ვერ ჰპოვა.

## **12. საქმე N 12615/17, ლ. ბ. და თ. კ-ს განცხადება**

2017 წლის 25 აგვისტოს ცხელი ხაზის მეშვეობით სახალხო დამცველს დაუკავშირდა ნ. ბ., რომელმაც განაცხადა არასამთავრობო ორგანიზაცია „თანასწორობის მოძრაობის“ თანამშრომლების ლ. ბ-ს; თ. კ-ს და მათი მეგობრების მიმართ განხორციელებულ შესაძლო უფლებადარღვევის ფაქტების შესახებ. მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2017 წლის 25 აგვისტოს, გამთენიისას, ბათუმის ბულვარში, თ. კ-სა და ლ. ბ-ს, ასევე მათთან ერთად მყოფ ტრანსგენდერ ქალებს, უცხო პირები ჰომოფობიური ნიშნით დაესხნენ თავს. განმცხადებლები პოლიციის თანამშრომლებისაგან ითხოვდნენ დახმარებას, რომლებიც ხედავდნენ არსებულ ვითარებას, თუმცა უმოქმედოდ აკვირდებოდნენ ფაქტს. მოგვიანებით, კი პოლიციის თანამშრომლებმა ძალის გამოყენებით დააკავეს მხოლოდ თ. კ. და ლ. ბ.

ლ. ბ-ს და თ. კ-ს განმარტებით, პოლიციის თანამშრომლებმა მიაყენეს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა ჰომოფობიური ნიშნით. დაკავებულების განმარტებით, პოლიციის თანამშრომლებმა არ განუმარტეს მათი უფლებები, დაკავების მიზეზი და შეუზღუდეს ზარის განხორციელების უფლება. დაკავებულების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას ადგილი ჰქონდა პოლიციის განყოფილებაშიც, სადაც რამდენიმე საათი დაჰყვეს, შემდგომ კი გადაიყვანეს დროებითი მოთავსების იზოლატორში, სადაც მთლიანად გააშიშვლეს, გააკეთებინეს ბუქნები. დროებითი მოთავსების იზოლატორში შესახლებისას კი ექიმმა სრულყოფილად არ დააფიქსირა დაზიანებები, რომელიც ძალადობის შედეგად განმცხადებლებს აღენიშნებოდათ. განმცხადებლები ასევე უთითებენ სხვა დარღვევების შესახებ.

2018 წლის 9 ივლისს საქართველოს მთავარი პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოდან მიღებული წერილის თანახმად, აღნიშნულ საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის კვალიფიკაციით. ამავე წერილის თანახმად, საქმეში სიძულვილის მოტივის გამოსაკვეთად გამოკითხვაზე დაბარებული პირები უწყებაში არ გამოცხადდნენ.

## **13. საქმე N 15710/17, ე. გ-ს განცხადება**

2017 წლის 1-ლ ნოემბერს სახალხო დამცველს ცხელი ხაზის მეშვეობით დაუკავშირდა ტრანსგენდერი ქალი, ე. გ., რომელმაც გვაცნობა მის მიმართ განხორციელებული შესაძლო უფლებადარღვევის ფაქტების შესახებ. ე. გ-ს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, 2017 წლის 1-ლ ნოემბერს, ღამის საათებში, ძალადობას დაექვემდებარა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მხრიდან. მის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, შემთხვევის ადგილზე იმყოფებოდა საპატრულო ეკიპაჟი ნომრით DD592SS და მას არ აღმოუჩინეს სათანადო დახმარება. ამასთან, მისი განცხადებით, პატრულის თანამშრომლებმა მას მიაყენეს მძიმე ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა, კერძოდ ურტყამდნენ, აგინებდნენ, აფურთხებდნენ და დასცინოდნენ იმის გამო, რომ თავს მიიჩნევს ტრანსგენდერ ქალად. განმცხადებლის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ადგილზე ასევე იმყოფებოდა სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადა, რომლის ექიმებმაც ასევე მიაყენეს სიტყვიერი შეურაცხყოფა.

2018 წლის 2 აპრილს საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, იმ ეტაპზე საქმეში სიძულვილის მოტივი არ იკვეთებოდა.

ამავე წერილის თანახმად, აღნიშნულ საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

#### **14. საქმე N 9170/16, გ. ტ-ს განცხადება**

2016 წლის 18 ივლისს სახალხო დამცველს ცხელი ხაზის მეშვეობით დაუკავშირდა გ.ტ., რომელმაც განაცხადა მის მიმართ განხორციელებული შესაძლო უფლებადარღვევის ფაქტის შესახებ. განმცხადებლის ინფორმაციით, 2016 წლის 18 ივლისს ცირკის მიმდებარე ტერიტორიაზე ყოფნისას კონფლიქტური სიტუაცია შეექმნა ნაცნობებთან, რასთან დაკავშირებითაც ადგილზე გამოცხადდა საპატრულო პოლიცია. ერთ-ერთი პოლიციელის მხრიდან კი ადგილი ჰქონდა მის მიმართ სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის განხორციელებას. მისივე ინფორმაციით, პოლიციელის მხრიდან ძალადობის შედეგად მიიღო დაზიანებები და გადაყვანილი იქნა „ქირურგიის ეროვნულ ცენტრში“.

2018 წლის 13 მარტს საქართველოს მთავარი პროკურატურიდან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, სამართლის N010140716801 საქმეზე, გ. ტ-ს მიმართ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა მხრიდან სამსახურებრივი უფლებამოსილების შესაძლო გადამეტების ფაქტზე, გამოძიება მიმდინარეობდა. ხსენებულ საქმეზე სიძულვილის მოტივის გამოსაკვეთის მიზნით გამოიკითხნენ მოწმეები. სიძულვილის მოტივი არ გამოკვეთილა.

#### **15. საქმე N 8979/16, გ. ტ-ს განცხადება**

2016 წლის 13 ივლისს საქართველოს სახალხო დამცველს ცხელი ხაზის საშუალებით დაუკავშირდა გ.ტ., რომელმაც მისი და მისი მეგობრების: გ. უ-ს, თ. მ-ს და ჯ. ც-ს მიმართ



განხორციელებული შესაძლო უფლებადარღვევის ფაქტებთან დაკავშირებით განაცხადა. განმცხადებლების ინფორმაციით, 2016 წლის 13 ივლისს ცირკის მიმდებარე ტერიტორიაზე ყოფნისას სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდათ მოქალაქე, რის გამოც, გამოიძახეს საპატრულო პოლიცია. ადგილზე მისულმა პოლიციამ მიზანშეწონილად ჩათვალა როგორც მოქალაქის, ასევე ზემოაღნიშნული პირების დაკავება. მათივე განმარტებით პოლიციის ერთ-ერთმა თანამშრომელმა (განმცხადებლებს ახსოვთ მხოლოდ გვარი – დ., ბორტის ნომერი: 70–66) გ. ტ-ს მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა, ხოლო მის მეგობრებს სიტყვიერი. მათივე განმარტებით, საპატრულო პოლიციის თანამშრომლების მხრიდან ხორციელდებოდა დამამცირებელი და ღირსების შემლახველი მოპყრობა.

საქართველოს მთავარი პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს მიერ 2018 წლის 28 მაისს მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, აღნიშნულ საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

#### **16. საქმე N 8188/16, გ. ტ-ს განცხადება**

2016 წლის 25 ივნისს მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2016 წლის 25 ივნისს, ღამის საათებში, ცირკის მიმდებარე ტერიტორიაზე ტრანსგენდერ ქალს თავს დაესხნენ, რის შედეგადაც მან სხეულის დაზიანება მიიღო. მოწოდებული ინფორმაციით, ცირკის მიმდებარე ტერიტორიაზე საპატრულო პოლიციამ დააკავა თ. (ე.) მ., გ. ზ. (მ. კ.), გ. უ. (გ. კ.) გ. ტ., რომლებიც ცემის ფაქტთან დაკავშირებით პოლიციის მხრიდან შესაძლო უმოქმედობის ფაქტს აპროტესტებდნენ.

საქართველოს მთავარი პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოდან 2018 წლის 28 მაისს მიღებული ინფორმაციის თანახმად, აღნიშნულ ფაქტზე მიმდინარეობს გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

#### **17. საქმე N 5994/17; გ.რ.რ-ს განცხადება**

2017 წლის 2 მაისს საქართველოს სახალხო დამცველს ცხელი ხაზის მეშვეობით დაუკავშირდა ტრანსგენდერი ქალი გ.რ.რ., რომელმაც მისი და მისი მეგობრები მიმართ განხორციელებული შესაძლო უფლებადარღვევის ფაქტის შესახებ განაცხადა. განმცხადებელი ითხოვდა ცხელი ხაზის რეაგირების ჯგუფის ადგილზე გასვლას, ვინაიდან მისი თქმით, მეზობლები მას და მის მეგობრებს (ტრანსგენდერ ქალებს) აყენებდნენ სიტყვიერ შეურაცხყოფას, ემუქრებოდნენ სიცოცხლის მოსპობით, ქვებს ესროდნენ საცხოვრებელ სახლს, აღნიშნულზე კი გამოძახებული საპატრულო პოლიცია არ ახდენდა რეაგირებას. განმცხადებლის თქმით, პოლიციის წარმომადგენლის თანდასწრებით გრძელდებოდა მუქარა, თუმცა პოლიცია უმოქმედოდ იყო, ამასთან პოლიციის წარმომადგენლები გამოირჩეოდნენ ცინიკური დამოკიდებულებით. შემთხვევის ადგილზე, საქართველოს სახალხო დამცველის

წარმომადგენელი გაესაუბრა მ.ფ. (ო.) გ.რ.რ-ს და ნ. მ-ს. გასაუბრების ოქმში გ.რ.რ. და მმ. ფ. უთითებენ პოლიციის მხრიდან განხორციელებულ შესაძლო ძალადობაზე.

2018 წლის 30 მარტს საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ხსენებულ საქმეზე სიძულვილის მოტივის გამოკვეთის მიზნით გამოიკითხნენ მოწმეები, თუმცა აღნიშნული მოტივი არ გამოკვეთილა.

სახალხო დამცველის აპარატმა საქართველოს მთავარ პროკურატურას ასევე მიაწოდა ინფორმაცია ტრანსგენდერი ქალების მიერ გაკეთებულ განცხადებაზე, პოლიციელთა მხრიდან შესაძლო ძალადობის ფაქტებზე, თუმცა აღნიშნულზე პასუხი არ მიგვიღია.

### **18. საქმე N 9523/18, 25.06.2018, ზ. ა-ს განცხადება**

2018 წლის 25 ივნისს, სახალხო დამცველმა დაიწყო ზ. ა-ს მიმართ ჩადენილი სავარაუდო უფლებადარღვევის ფაქტის შესწავლა. ზ. ა-მ სოციალურ ქსელში გაავრცელა განცხადება, 2018 წლის 22 ივნისს, მასზე მომხდარი ჰომოფობიური თავდასხმის შესახებ. ზ. ა. ასევე უთითებდა პოლიციელის მხრიდან ჰომოფობიურ დამოკიდებულებაზე.

სახალხო დამცველის აპარატმა 2018 წლის 26 ივნისს მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და ამავე უწყების გენერალურ ინსპექციას თხოვნით, მოეწოდებინათ მათ მიერ ჩატარებული მოკვლევის შედეგები.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, აღნიშნულ საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება სექსუალური ორიენტაციის შეუწყნარებლობის მოტივით ზურა აბაშიძის ცემის ფაქტზე.

შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციიდან მიღებული პასუხი თანახმად, სამსახურებრივი შემოწმების შედეგად, შს სამინისტროს მოსამსახურეები მკაცრად იქნენ გაფრთხილებულნი, რომ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს მოეკიდონ გულისხმიერად და მოქალაქეებთან ურთიერთობისას იხელმძღვანელონ, „შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის ეთიკის კოდექსით“ გათვალისწინებული მოთხოვნებით.

### **19. საქმე N 4580/18, 21.03.2018, გ.რ.რ-ს განცხადება**

2018 წლის 21 მარტს, სახალხო დამცველის აპარატის გენდერულ თანასწორობის დეპარტამენტმა დაიწყო საინფორმაციო სააგენტოს მიერ გავრცელებული ინფორმაციის შესწავლა, ტრანსგენდერი ქალის, გ.რ.რ-ს მიმართ განხორციელებული შესაძლო უფლებადარღვევის ფაქტის შესახებ. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, გ.რ.რ. აღნიშნავდა, რომ 2018 წლის 18 მარტს ის პოლიციელების თანდასწრებით სცემეს და პოლიციელები არ ახდენენ აღნიშნულზე რეაგირებას.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციიდან 2018 წლის 4 აპრილს მიღებული წერილის თანახმად, პოლიციელების მხრიდან დისციპლინურმა გადაცდომამ დადასტურება ვერ ჰპოვა.

## **20. საქმე N 5011/17, 10.04.2017, ლ. გ-ს განცხადება**

2017 წლის 10 აპრილს სახალხო დამცველს დაუკავშირდა ლ. გ. მის მიმართ განხორციელებულ შესაძლო უფლებადარღვევასთან დაკავშირებით. მისი განცხადებით, 2017 წლის 18 მარტს ქალაქ ქუთაისში, ჰომოფობიურ ნიადაგზე, მის მიმართ განხორციელდა ჯგუფური თავდასხმა. კერძოდ, 17-მდე ახალგაზრდა თავს დაესხა და სხვადასხვა საგნებით (არმატურის ნაჭერი, დუბინკა, კასტეტი და სხვა) გაუსწორდნენ, რა დროსაც მან დაზიანებები მიიღო (ქალა ტვინის ტრამვა, თავის ტვინის შერყევა, ჭრილობები). განმცხადებელი აღნიშნავს, რომ მომხდარ ინციდენტამდე რამდენიმე დღით ადრე მის მიმართ ადგილი ჰქონდა ჰომოფობიურ და შეურაცხმყოფელი სიტყვებით მიმართავს, რასაც ჰყავს მოწმეები.

როგორც განმცხადებელმა განმარტა მის მიმართ პოლიციის თანამშრომლები ჰომოფობიურ დამოკიდებულებას ავლენდნენ. განცხადების თანახმად, საქმის გამომძიებელმა მის შესახებ აღნიშნა, რომ მას ეცვა ყვითელი შარვალი, რაც გახდა შესაძლო დანაშაულის ჩამდენი პირების გალიზიანების მიზეზი და მსგავსი იმიჯით მუდმივად ექნება პრობლემები, რადგან „ეს არის ქუთაისი და არა ლას-ვეგასი“.

სახალხო დამცველის აპარატმა შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას მიმართა თხოვნით, ეცნობებინა საქმის მოკვლევის შედეგები. გენერალური ინსპექციიდან 2017 წლის 5 მაისს მიღებული პასუხის თანახმად, შს სამინისტროს თანამშრომლის მხრიდან ჰომოფობიურ დამოკიდებულებას ადგილი არ ჰქონია და არ დასტურდება რაიმე სახის შეურაცხყოფის მიყენების ფაქტი.

## **21. საქმე N 3782/17 მ. ო-ს განცხადება**

2017 წლის 17 მარტს მ. ო-მ და მისმა ადვოკატმა ა. ხ-მ სახალხო დამცველს განცხადებით მომართა. განცხადების თანახმად, 2017 წლის 24 თებერვალს მ. ო-ს საკუთარ საცხოვრებელ სახლში, მამაკაცმა მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა. როგორც განცხადებაშია აღნიშნული, მოძალადე პირი მირანდას დაემუქრა, რომ იყო თანამდებობის პირი და ძალადობის გაცხადების შემთხვევაში ფიზიკურად გააქრობდა. განმცხადებელი აღნიშნავს, რომ დანაშაული სიძულვილით იყო მოტივირებული. მომხდარი ფაქტის შესახებ მირანდა ოკუჯავამ განაცხადა, 2017 წლის 1 მარტს, შსს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს მე-3 განყოფილებაში, მას შემდეგ რაც შეძლო შესაძლო მოძალადის ვინაობის დადგენა.

განცხადების თანახმად, ზემოხსენებული საქმის შესწავლის პროცესში მ. ო. პოლიციის ორგანოს წარმომადგენელების მხრიდან რამდენჯერმე დაექვემდებარა პატივისა და ღირსების

შემლახველ მოპყრობას, რასთან დაკავშირებითაც, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას მიმართა.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ შსს ისანი-სამგორის სამმართველოს პოლიციის მე-3 განყოფილების უფროსი სუბიექტური და მიკერძოებული იყო კ. ბ-ს მიმართ, შესაბამისად საქმეზე გამოძიება არასათანადოდ მიმდინარეობდა. განცხადებაში აღნიშნულია, რომ 2017 წლის 15 მარტს მ. ო. დაბარებული იყო შესაძლო დანაშაულის ჩამდენი პირის ამოცნობის პროცედურაზე, რა დროსაც ამოსაცნობ პირებში საერთოდ არ იყო წარმოდგენილი კ. ბ., რომელსაც განმცხადებელი შესაძლო დანაშაულის ჩამდენ პირად უთითებდა.

ვინაიდან განმცხადებელს მიაჩნდა, რომ პოლიციის განყოფილებაში საქმეს არასათანადოდ და მიკერძოებით იძიებენ მან 2017 წლის 15 მარტს საქმის პროკურორს, ა. ს-ს მიმართა გამომძიებლის აცილების საჩივრით, ამასთან ითხოვა შ. გ-ის დაქვემდებარებაში მყოფი გამომძიებლები არ ყოფილიყვნენ საქმის შესწავლის პროცესში ჩართული.

2017 წლის 25 აპრილს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის წერილით გვეცნობა, რომ ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების შედეგად შს სამინისტროს მომსახურეთა მხრიდან დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი არ დადასტურდა.

ასევე, 2017 წლის 26 ივლისსა და 2018 წლის 30 მარტს საქართველოს მთავარი პროკურატურიდან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, გამოძიებით არ იკვეთებოდა სიძულვილის მოტივით დანაშაულის ჩადენის ფაქტი.

## **22. საქმე N 10451/17; გ. (ქ.) ლ-ის განცხადება**

2017 წლის 15 ივლისს საქართველოს სახალხო დამცველს ცხელი ხაზის მეშვეობით დაუკავშირდა ტრანსგედერი ქალი გ. (ქ.) ლ., რომელმაც მის მიმართ განხორციელებული შესაძლო უფლებადარღვევის ფაქტის შესახებ განაცხადა. განცხადების თანახმად, 2017 წლის 15 ივლისს, ქ. ბათუმში, სასტუმრო ინტურისტის მიმდებარე ტერიტორიაზე ქ. ლ-ს უცნობმა პიროვნებამ მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა. აღნიშნულთან დაკავშირებით მან გამოიძახა საპატრულო პოლიცია, რომელიც ადგილზე დაგვიანებით გამოცხადდა. როგორც განცხადებაშია აღნიშნული, ადგილზე მისულ სამართალდამცავი უწყების თანამშრომლებს რაიმე ღონისძიება არ განუხორციელებიათ და იქ მყოფი სხვა პიროვნებების თანდასწრებით ქ. ლ-ს სიტყვიერი შეურაცხყოფას აყენებდნენ, კერძოდ, მასხრად იგდებდნენ და დასცინოდნენ. განმცხადებელის თქმით, აღნიშნული მის გენდერულ იდენტობას უკავშირდება.

2017 წლის 24 აგვისტოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, შს სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმებით, შს სამინისტროს მომსახურეთა მხრიდან დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი არ დადასტურდა.

## **23. საქმე N 16047/17, ტრანსგენდერი ქალების საქმე**

2017 წლის 9 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველს ცხელი ხაზის მეშვეობით დაუკავშირდა ტრანსგენდერი ქალი გ.რ.რ., რომელმაც მისი და მისი მეგობრების მიმართ განხორციელებული შესაძლო უფლებადარღვევის ფაქტის შესახებ გვაცნობა. განცხადების თანახმად, 2017 წლის 9 ნოემბერს, გ.რ.რ-სა და მის მეგობრებს თ.ქ-ს (გ.ჭ.) და ა. ა-ს თბილისში, ცირკის მიმდებარე ტერიტორიაზე მათთვის უცნობმა ორმა მამაკაცმა სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა და დაემუქრა სიცოცხლის ხელყოფით იმის გამო, რომ არიან ტრანსგენდერი ქალები. აღნიშნულის გამო დარეკეს 112-ს სამსახურში და გამოიძახეს საპატრულო პოლიცია, თუმცა მათი განმარტებით საპატრულო პოლიცია არ მივიდა, რის გამოც გააჩერეს მიმავალი პატრულის მანქანა. პატრულის თანამშრომლები ცდილობდნენ არ დაეკავებინათ სავარაუდო დამნაშავე პირები და მას შემდეგ დააკავეს რაც თ. ქ-მ დაჟინებით მოითხოვა ხსენებული პიროვნებების დაკავება. აღნიშნულის შემდგომ ტრანსგენდერი ქალები გადავიდნენ გულუას ქუჩაზე მდებარე საგამოძიებო სამსახურში. გ-ს თქმით, საგამოძიებო ორგანოში ასევე დაირღვა მისი უფლებები, რადგან 3 საათის განმავლობაში არ მიეცა შესაძლებლობა საპირფარეშოთი ესარგებლა.

2018 წლის 2 აპრილს საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ჩატარებული გამოძიების შედეგად არ გამოიკვეთა სავარაუდო სიძულვილის მოტივი და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედების ჩადენის ფაქტი, შესაბამისად საქმეზე შეწყდა გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციიდან 2018 წლის 4 იანვარს მიღებული პასუხის თანახმად, ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმებით, შს სამინისტროს მოსამსახურეების მხრიდან, დისციპლინურმა გადაცდომის ფაქტმა დადასტურება ვერ ჰპოვა.

#### **24. საქმე N5574/17, გ.რ.რ-ს განცხადება**

2017 წლის 23 აპრილს საქართველოს სახალხო დამცველს ცხელი ხაზის მეშვეობით დაუკავშირდა ტრანსგენდერი ქალი გ.რ.რ., რომელმაც მისი და მისი მეგობრების მიმართ განხორციელებული შესაძლო უფლებადარღვევის შესახებ გვაცნობა. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში შემოსული შეტყობინებების თანახმად, 2017 წლის 23 აპრილს, გამთენიისას, თბილისში მდებარე, ღამის კლუბ „ბასიანთან“ გ.რ.რ-ს და ნ. მ-ს მიმართ განხორციელებულ შესაძლო უფლებადარღვევის ფაქტზე გამოძახებულმა საპატრულო პოლიციის წარმომადგენლებმა არ მოახდინეს სათანადო რეაგირება, ამასთან პოლიციელები ტრანსგენდერი ქალების მიმართ გამოირჩეოდნენ ცინიკური და აგრესიული დამოკიდებულებით. მოწოდებული ინფორმაციით, საჩივრის დასაწერად შსს დიდუბე-ჩუღურეთის სამმართველოს პოლიციის მე-4 განყოფილებაში მყოფი გ.რ.რ., რომელსაც თან ახლდა მეგობარი - მ. ფ. პოლიციის თანამშრომლების მხრიდან დაექვემდებარნენ არასათანადო მოპყრობას.

2018 წლის 11 მაისს საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული პროკურატურაში მიმდინარეობდა გამოძიება სისხლის სამართლის N002150517801 საქმეზე, ტრანსგენდერი ქალების მიმართ სამსახურებრივი უფლებამოსილების შესაძლო გადამეტების ფაქტზე. ასევე, სიძულვილის მოტივის გამოსაკვეთად ჩატარებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის გამოთხოვის მიუხედავად, აღნიშნული ინფორმაცია არ მიგვიღია.

## **25. საქმე N10757/17, გ.რ.რ-ს საქმე**

2017 წლის 21 ივლისს სახალხო დამცველს ცხელი ხაზის საშუალებით დაუკავშირდა ტრანსგენდერი ქალი გ.რ.რ., რომელმაც მის მიმართ განხორციელებული შესაძლო უფლებადარღვევის ფაქტის შესახებ განაცხადა. განცხადების თანახმად, 2017 წლის 21 ივლისს, ღამის საათებში მ. მ-ს და მ. ო-ს სამმა პიროვნებამ მიაყენა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა (მათი ამოცნობა შეუძლიათ). განცხადებაში აღნიშნულია, რომ ადგილზე გამოცხადებულმა პოლიციის თანამშრომლებმა მ. ო-ს და მ. მ-ს მიმართ განახორციელეს არასათანადო მოპყრობა.

2018 წლის 7 მარტს საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, გამოძიების მიმდინარეობისას სიძულვილის მოტივი არ იკვეთებოდა, საქმეზე გამოძიება კი კვლავ მიმდინარეობდა.

ასევე, 2017 წლის 10 აგვისტოს მიღებული ინფორმაციის თანახმად, არ დასტურდება პოლიციის თანამშრომლების მხრიდან არასათანადო მოპყრობის განხორციელების ფაქტი.

## **26. საქმე N 432/17, გ. კ-ს განცხადება**

2017 წლის 13 იანვარს „ტრანსგენდერ ქალთა ცენტრმა“ საქართველოს სახალხო დამცველს გ. კ-ს მიმართ განხორციელებული შესაძლო უფლებადარღვევის ფაქტთან დაკავშირებით მომართა. განცხადების თანახმად, ა. კ., რომელიც არის ტრანსგენდერი ქალი, 2017 წლის 01 იანვარს თავს დაესხა მოქალაქე დ. მ., რომელსაც იგი გაცნობის მიზნით შეხვდა თბილისში. განცხადების თანახმად, ა. კ-ს დ. მ-მ ქვით, თავის არეში მიაყენა დაზიანებები, რის შედეგადაც გადაყვანილ იქნა კლინიკა „ლანცეტში“ ტვინის შერყევის დიაგნოზით. ამასთან, განმცხადებელი უთითებს, რომ ინციდენტის დროს მას წაართვეს ფული, მობილური ტელეფონი, ბლოკნოტი და პასპორტი. ა. კ. თავის განცხადებაში ხაზს უსვამს მისი გენდერული იდენტობისა და სექსუალური ორიენტაციის გამო მის მიმართ გამოვლენილ ზიზღს. განცხადებაში ა. კ. ასევე აღნიშნავს, რომ პოლიციის მხრიდან მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით არ გატარებულა ღონისძიებები, ამასთან პოლიციელებმა მის მიმართ გამოიყენეს უცენზურო სიტყვები, დასცინოდნენ და აყენებდნენ შეურაცხყოფას გენდერული იდენტობის გამო.

2017 წლის 21 თებერვალს შსს გენერალური ინსპექციიდან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, სამსახურებრივი შემოწმების შედეგად შს სამინისტროს თანამშრომელთა მხრიდან დისციპლინური გადაცდომის ფაქტი არ დადასტურდა.

აგრეთვე, საქართველოს სახალხო დამცველმა ხსენებულ საქმეზე სიძულვილის გამოკვეთის შესახებ ინფორმაცია გამოითხოვა საქართველოს მთავარი პროკურატურიდან, თუმცა აღნიშნული ინფორმაცია არ მოგვწოდებია. საქართველოს მთავარი პროკურატურიდან 2018 წლის 30 მარტს მიღებული წერილის თანახმად, აღნიშნულ საქმეზე უკვე გამოტანილია განაჩენი პირველი ინსტანციის მიერ და საქმის განხილვა გრძელდება თბილისის სააპელაციო სასამართლოში.

### **27. საქმე N 8743/16; გ.რ.რ-ს განცხადება**

2016 წლის 7 ივლისს, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს დაუკავშირდა ადვოკატი, ქ. ბ. და მოგვწოდა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, 2016 წლის 7 ივლისს, დაახლოებით 07:00 საათზე, თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე ტრანსგენდერ ქალს, გ.რ.რ-ს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მისთვის უცნობმა პირმა. რის შემდეგაც საჭირო გახდა მისი ჰოსპიტალიზაცია. მისივე ინფორმაციით, ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტი განპირობებული იყო სიძულვილის მოტივით და უკავშირდებოდა მის გენდერულ იდენტობას. ამასთან, განმცხადებელი მიუთითებს, რომ შემთხვევის ადგილზე გამოცხადებული საპატრულო პოლიციის თანამშრომლები მიმართავდნენ შეურაცხმყოფელი სიტყვებით.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, სახალხო დამცველის აპარატმა 2016 წლის 21 ივლისს წერილობით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას თხოვნით, მოეწოდებინათ ინფორმაცია, აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით გატარებული ღონისძიებები შესახებ.

გენერალური ინსპექციისგან 2016 წლის 2 აგვისტოს პასუხად გვეცნობა, რომ სამსახურებრივი შემოწმების შედეგად, მოსამსახურეების მხრიდან დისციპლინური გადაცდომის ფაქტმა დადასტურება ვერ ჰპოვა.

გენდერული თანასწორობის დეპარტამენტმა ასევე მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდან-ნამალადევის სამმართველოს მე-6 განყოფილებას თხოვნით, მოეწოდებინათ ინფორმაცია, თუ რა საგამომიებო მოქმედებები ჩატარდა აღნიშნულ საქმეში შესაძლო დისკრიმინაციული მოტივის გამოსაკვეთად და ხომ არ გამოიკვეთ ასეთი მოტივი. პასუხად, 2017 წლის 15 თებერვალს უწყებამ გვაცნობა, რომ სისხლის სამართლის საქმეში დისკრიმინაციული მოტივით ჩადენილი დანაშაული არ იკვეთება.

### **28. საქმე N9685/18, 28.06.2018 წ. ზ-ს განცხადება**

2018 წლის 28 ივნისს, საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით მომართა ნ. ზ-მ, რომელიც აღნიშნავდა, რომ შსს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს ძველი თბილისის სამმართველოს პოლიციის მე-7 განყოფილების თანამშრომლების მხრიდან გახდა დისკრიმინაციული მოპყრობის მსხვერპლი.

განმცხადებლის განმარტებით, 2018 წლის 6 ივნისს ის და მისი 2 ტრანსგენდერი მეგობარი ქალი იმყოფებოდნენ თელავის რესტორან „ნადიკვარი ტერასაში“, სადაც პლასტიკური ბარათით ანგარიშსწორებასთან დაკავშირებით შეიქმნა გარკვეული პრობლემა და მათ გადასახდელი დარჩათ 33 ლარი, რომელიც უნდა გადაერიცხათ მოგვიანებით. 2018 წლის 27 ივნისს, თანხის გადახდის შეხსენების მიზნით, რესტორნიდან დაურეკეს მის ერთერთ მეგობარს, რომელმაც ზარის ავტორს მისცა ნ. ზ-ს ნომერი და სთხოვა მასთან გაერკვია დეტალები. ამის შემდეგ ნ. ზ. ტელეფონით ესაუბრნენ რესტორნის ბუღალტერი და მეპატრონე, რომლებმაც, მათი სექსუალურ ორიენტაციაზე აქცენტირებით, დაიწყეს მისი და მისი მეგობრების ლანძღვა და შეურაცხყოფის მიყენება. სიტუაციის გამწვავების შემდეგ, ნ. ზ-მ გამოიძახა საპატრულო პოლიცია და იგი გადაყვანილ იქნა შსს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს ძველი თბილისის სამმართველოს პოლიციის N7 განყოფილებაში, სადაც პირები, ვინც მის გამოკითხვას აწარმოებდნენ, განმცხადებლისა და მისი მეგობრების მიმართ გამოირჩეოდნენ გულგრილი, დამცინავი და აგდებული დამოკიდებულებით და ცდილობდნენ საქმეში აქცენტი არ გაკეთებულიყო პირთა სექსუალურ ორიენტაციასა და მისი მეგობრების ტრანსგენდერობაზე.

2018 წლის 25 ივლისს, შსს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის სამმართველომ განმარტა, რომ *2018 წლის 28 ივნისს შსს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის სამმართველოს მეშვიდე განყოფილებაში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის №006280618001 საქმეზე, ნ. ზ-ს მიმართ განხორციელებული თანასწორუფლებიანობის დარღვევის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ის 142-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.*

*ჩატარებული გამოძიების ფარგლებში გაირკვა, რომ 2018 წლის 27 ივნისს ქ. თბილისში, ინგოროყვას ქუჩა N25-ში ყოფნისას, დაახლოებით 17:00 საათზე, ნ. ზ-ს მის კუთვნილ მობილური ტელეფონის ნომერზე დაუკავშირდნენ ქ. თელავში მდებარე რესტორან „ნადიკვარ ტერასას“ ბუღალტერი - ხ. ჩ. და ამავე რესტორნის მფლობელი - ნ. ლ. რომლებმაც ნ. ზ-ს განმარტებით, მას ჰომოფობიური მოტივით მიაყენეს სიტყვიერი შეურაცხყოფა და დაემუქრნენ პირადი ცხოვრების შესახებ ინფორმაციის გასაჯაროებით, რაც იქნებოდა მისი რეპუტაციისათვის ზიანის მომტანი. საქმეზე მოწმის სახით გამოკითხულმა ნ. ლ. და ხ. ჩ. დაადასტურეს 2018 წლის 27 ივნისს ნ. ზ-სთან განხორციელებული სატელეფონო საუბრის ფაქტი, თუმცა ნ. ზ-ს პირადი ცხოვრების შესახებ რაიმე ინფორმაციის გასაჯაროების თაობაზე მუქარა უარყვეს და განმარტეს, რომ მითითებულ დღესა და დროს, ნ. ზ-სთან სატელეფონო ზარი განახორციელეს სამსახურიდან - ქ. თელავში მდებარე რესტორან „ნადიკვარ ტერასადას“. გამოძიების ფარგლებში, გამოკითხვის პროცესში მოწმის ნ. ზ-ს მიმართ*



გამომძიებლის მხრიდან სრულყოფილად დასმულ იქნა შეკითხვები მის მიმართ თანასწორუფლებიანობის დარღვევის ფაქტთან, ჰომოფობიურ და დისკრიმინაციულ საკითხთან დაკავშირებით. ასევე ძველი თბილისის სამმართველოს მეშვიდე განყოფილების თანამშრომლების მხრიდან მისი მისამართით რაიმე სახის გულგრილ და აგდებულ დამოკიდებულებას ადგილი არ ჰქონია და უშუალოდ ნ. ზ-ს აღნიშნულთან დაკავშირებით რაიმე სახის პრეტენზია არ დაუფიქსირებია.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, ვინაიდან სისხლის სამართლის N006280618001 საქმეზე ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ შესაძლო დანაშაულის ფაქტი - ნ. ზ-ს მიმართ განხორციელებული თანასწორუფლებიანობის დარღვევა, ჩადენილია ქ. თელავში, სისხლის სამართლის N006280618001 საქმე, ტერიტორიული ქვემდებარეობის შესაბამისად, 2018 წლის 05 ივლისს შემდგომი გამოძიების ორგანიზების მიზნით, გადაიგზავნა თელავის რაიონულ პროკურატურაში.

2018 წლის 19 ივლისს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის განმარტებით, მათ უწყებაში მიმდინარეობს სამსახურებრივი შემოწმება, რომელიც ჯერჯერობით არ არის დასრულებული.